# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 დეკემბერი 2001 №242 (1515) ფასი 50 თეთრი

# ბარსელონას უნდა კალაძე, რომელიც მილანს არ ეთმობა



ბადრი კოპალიძის ფოტო

იტალიურ „მილანს“ ესპანური „ბარსელონასგან“ ასეთი წინადადება მიუღია — დაგვითმეთ 23 წლის ქართველი კალაძე და 20 წლის ბრაზილიელ როჩემბაკს მოგცემთო.

ეს ცნობა იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ გუშინ გაავრცელა. კატალონიელები იტალიელებს ნახევარმცველს სთავაზობენ და მცველს სთხოვენ, თანაც დასძენენ, კალაძეს ბარსელონაში პირობებზე არ ვაწუწუნებთო.

მოგეხსენებათ, კახა კალაძემ სერია A-ს ბოლო ორი მატჩი, ჯერ „იუვენტუსთან“, მერე კი „რომასთან“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. აშკარაა, ქართველი მცველი მწვრთნელისთვის სასურველ ფორმაში არ არის. თანაც კალაძის თქმით, გატაცებული ძმის ჯერაც გაურკვეველი ბედის გამო ფსიქოლოგიურად ძალიან უჭირს. იტალიელ კოლეგათა ცნობამ, ბუნებრივია, დაგვაინტერესა და გუშინვე „მილანის“ სელექციონერ რევაზ ჭოხონელიძეს შევეხმიანეთ:

— კალაძეს „მილანი“ არსად გაუშვებს. ამაზე ლაპარაკი გადაჭარბებულია, თუმც არც იმის თქმა შემიძლია, „ბარსელონასგან“ მსგავსი წინადადება არ მიგვიღიაო. ისე კი, როცა ჩვენს ფეხბურთელს ასეთი დონის კლუბი ეპატიჟება, რა თქმა უნდა ჩვენთვისაც სასიამოვნოა და თავად კახასთვისაც. გახსოვთ, ადრე შევჩენკოს „რეალში“ გადასვლაზე იყო ლაპარაკი, ახლა ასეთივე ხმები კალაძის თაობაზეც გავრცელდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ძლიერ ფეხბურთელთა მსურველი არ დაილევა. კახა კალაძეს კი, ერთხელაც ვიტყვი, „მილანი“ არსად გაუშვებს, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ოთხ-ხუთ სეზონს აქ გაატარებს. მისი უთამაშებლობის მიზეზი მცირე ტრავმაა, საზარდული აწუხებდა. ის ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს. მწვრთნელ ანჩელოტის მასთან საპრეტენზიო არაფერი აქვს — გვითხრა რევაზ ჭოხონელიძემ.

„მილანი“ კი დღეს „ატალანტას“ უნდა ეთამაშოს და კლუბის სელექციონერის თქმით, კალაძე ძირითად შემადგენლობას, ალბათ, სწორედ ბერგამოში დაუბრუნდება.

კობა ინასარიძე

# ასანიძე, ვახტანგაძე, ზვიადაური

## საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა 2001 წლის ქვარცხლბეკი გაანწყო



ბადრი კოპალიძის ფოტო

გიორგი ასანიძე



მუხრან ვახტანგაძე



ზურაბ ზვიადაური

მსოფლიოს ჩემპიონი, ძალოსანი გიორგი ასანიძე 2001 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენია! ასე დაადგინა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, რომელმაც სპორტის ოლიმპიურ სახეობებში წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის საკუთარი ვერსია დაასახელა. გიორგი ასანიძის გარდა საუკეთესო სამეულში მოხვდნენ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძე და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი, ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური.

სეოკ-ის ათეულში მომდევნონი კი ანბანით დაალაგეს: ალექსი დოხტურიშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), დავით მარგოშვილი (ძიუდო), ალექსი მოდებაძე, დავით პოლოსიანი (ორივე თავისუფალი ჭიდაობა), ნინო სალუქვაძე (სროლა) და ირაკლი ჭოჭუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა






REUTERS მიუნხენიდან

„ბაიერნი“ — „მიონხენგლადბახი“. მეკარეებმა სხვანაირი გაბრაზება იციან: ოლივერ კანმა პეტერ ვან ჰოუტს (№10) უხეშობა არ აპატია

# ტრანსფერი მაგას!

## სასამართლოსგან გამართლებული ლი ბოიერი საზოგადოებამ დასაჯა

**ინგლისურ** ჰალში წინა პარასკევს ლიდსელების — ლი ბოიერის, ჯონათან ვუდგეიტისა და მათი ორი ძმაკაცის პროცესი კი დასრულდა, მაგრამ ხმაური დიდხანს რომ არ შეწყდებოდა, იმთავითვე ცხადი იყო.

გავიხსენოთ: ყმაწვილი აზიელის, საფრაზ ნაიჯების სასტიკად ცემა ვუდგეიტის მეგობარ პოლ კლიფორდს დაბრალდა და ექვსწლიანი პატიმრობა მიესაჯა, ვუდგეიტი ოდენ ასი საათი საზოგადოებრივი სამუშაოთი გადარჩა, ხოლო ლი ბოიერი სულაც მშრალად გამოძვრა საქმიდან.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ნაცემი ბიჭის მამამ მაშინვე თქვა, ჩემი შვილის დაინვალიდება მაგათ ეგრე იოლად არ შერჩებათ, სამართალს მაინც ვიპოვიო. მუჰამად ნაიეჯებს მთელი ინგლისი აჰყვა და „ლიდსის“ მცდელობას, ბოიერი და ვუდგეიტი სათამაშოდ გაეყვანა, საზოგადოებრივი აზრის იმგვარი რეაქცია მოჰყვა, დევიდ ოლირიმ ველარ გაბედა.

ამ ამბის გუშინდელი გაგრძელება კი ასეთია: კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა, აქამდე რომ ამბობდა, მიხარია, ბოიერი უდანაშაულო რომ აღმოჩნდაო, მოულოდნელად ფეხბურთელის დაჯარიმება გადაწყვიტა. ჯარიმა ერთი მხრივ სოლიდურია — ოთხმოცი ათასი გირვანქა, მაგრამ მეორე მხრივ ეს ბოიერის სულ რაღაც ოთხი კვირის ხელფასია. მოკლედ, საქმე თანხაში არ არის, ბოიერისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ უპირებდა კლუბი დასჯას, სასამართლომ გამამართლა და თქვენ რისთვის მსჯითო.

ეს პასუხი იყო და კლუბმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა, რომ მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო ლი ბოიერს ტრანსფერზე აყენებენ. ისე, გათვლა მარტივად მოჩანს, ამ ამბების მერე „ლიდსს“ და ლიდსელებს ინგლისელი ქომაგი ალმაცერად უყურებს და გულის მოსაგებად ბოიერის მოშორება ეგებ კარგი გამოსავალი იყოს.

**გიორგი დარჯანია**



ლი ბოიერი




REUTERS ნიურნბერგიდან

„ნიურნბერგი“ — „დორტმუნდი“. ჯერონიმო ბარეტო (მარცხნივ) და სტუმართა ბრაზილიელი ლეონარდ დედე



REUTERS ლონდონიდან

„არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერს მატჩის ბოლოს მინდორზე გახედვის რცხვენოდა



REUTERS ლანსიდან

„ლანსი“ — „ნანტი“. ანტონ სიბიერსკის (წინა პლანზე) გარჯა დაუფასდა, სტუმრებს პირველმა გაუტანა

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVIII ტური

ბაიერნი 0:0 მიონხენგლადბახი
ჰერთა 2:2 ზანქტ პაული
ნიურნბერგი 2:2 დორტმუნდი
ვერდერი 3:2 ფრაიბურგი
ჰამბურგი 5:2 კოტბუსი

მეორე ბუნდესლიგა XVIII ტური

ბაბელსბერგი 0:2 არმინია
ალენი 2:2 დუისბურგი
როიტლინგენი 2:1 აინტრახტი

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი XVIII ტური

ლანსი 3:0 ნანტი
ბორდო 0:0 მარსელი

### ბელგია

პირველი დივიზიონი XVI ტური

მუსკრონი 2:0 ბრიუგე
ბევერენი 1:4 ანდერლეხტი

### ინგლისი

პრემიერლიგა გადადებული მატჩი

არსენალი 1:3 ნიუკასლი

ასოციაციის თასი II ეტაპი. გადათამაშება

როვერსი 3:2 პლიმუთი
საუთენდი 2:0 ჩესტერფილდი

### ესპანეთი

თასის მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

რეალი 4:2 ხიმნასტიკი (II) (0:1)

### პორტუგალია

თასის მეთექვსმეტედფინალი გადათამაშება

ბრაგა 2:1 გიმარაეში

### შოტლანდია

ასოციაციის თასი II ეტაპი. გადათამაშება

ისტ ფაიფი 2:2 დდ (4:2 პ.ფ. 2:2) ქუინზ პარკი



REUTERS ლონდონიდან

„არსენალი“ — „ნიუკასლი“. ლონდონელი რეი პარლორი ალან შირერს იმდენჯერ ეჯახა, რომ მსაჯმა მოედანი ნაადრევად დაატოვებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# France Football

## 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (ფრანს ფუტბოლის ვერსია)

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი | 176 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 140 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 114 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი | 102 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია | 57 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 56 |
| რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია | 20 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 18 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 14 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 14 |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | ბაიერნი | საფრანგეთი | 10 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | საფრანგეთი | 7 |
| შტეფან ეფენბერგი | ბაიერნი | გერმანია | 6 |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | შვედეთი | 4 |
| ალესანდრო ნესტა | ლაციო | იტალია | 4 |
| ერნან კრესპო | ლაციო | არგენტინა | 3 |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | არგენტინა | 3 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | ბრაზილია | 2 |
| სემი ჰიიპია | ლივერპული | ფინეთი | 2 |
| გაისკა მენდიეტა | ლაციო | ესპანეთი | 2 |
| ემანუელ ოლისადებე | პანათინაიკოსი | პოლონეთი | 2 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 2 |
| ებე სანდი | შალკე | დანია | 2 |
| დამიანო ტომაზი | რომა | იტალია | 2 |
| რობერტო ბაჯო | ბრეშა | იტალია | 1 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი | 1. |
| მანუელ რუი კოშტა | მილანი | პორტუგალია | 1 |



# ევროპას პატარა უფლისწული ჰყავს

**მაიკლ ოუენმა** „ფრანს ფუტბოლისგან“ „ოქროს ბურთი“ მიიღო, ეს სხვანაირად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობას ნიშნავს, როგორც გვსურს, ისე ვუწოდოთ. არადა, ოუენი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, დაბადების დღე წინა პარასკევს ჰქონდა და ჯერაც ბიჭად მოიხსენიებენ.

17 სექტემბრის რვა საათამდე (ჩვენი დროით) ოუენი კარგი, ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, რვა საათის შემდეგ კი საუკეთესო გახდა. წლეულსვე მან „ლივერპულთან“ ერთად ხუთი თასიც მოიგო.

„ჩემს ასაკში საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება განსაკუთრებით სასიამოვნოა. როცა ამგვარი აღიარება 27-28 წლის ასაკში მოდის, ალბათ, ფეხბურთელი გრძნობს, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია, რასაც ნელ-ნელა დაღმასვლა უნდა მოჰყვეს, ამიტომაც სიხარული სევდანარევია — ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმომიდგენია. მაგრამ როცა 22 წლის ხარ, გრძნობ, რომ ყველაფერი წინ გაქვს და თუ უკვე საუკეთესოდაც გასახელებენ, გამორჩეული სიხარულია“ — თქვა ლივერპულელმა „ოქროს ბიჭუნამ“.

და რითი დაიწყო ყველაფერი? ისევ და ისევ უფროსებთან ბრძოლით.

„ბავშვობაში ეზოში ვთამაშობდით ფეხბურთს — ორი ორზე, მე და მამაჩემი ჩემს უფროს ძმებს ვეჯიბრებოდით. ალბათ, იქედან გამომყვა გრძნობა, რომ უფროსებთან თამაშისა არ უნდა შემშინებოდა. მერე, ჩვიდმეტი წლისა პრემიერლიგაში რომ მოვხვდი და ოცდაათი წლის კაცების წინააღმდეგ მიხდებოდა მოედანზე გასვლა, შიში არც მაშინ მიგრძვნია, ვიცოდი, მწვრთნელი ჩემგან რასაც ელოდა და მეც ვასრულებდი“.

მაიკლ ოუენი ინგლისმა გაიცნო — მსოფლიოს დროც დადგა.

„1998 წელს გლენ ჰოდლმა ნაკრებში მიმიწვია, ჩილეს ვხვდებოდით. სიმართლე გითხრათ, თამაშის დეტალები არცთუ კარგად მახსოვს, მაგრამ განწყობა არასდროს დამავიწყდება — მოედანზე რომ გავედი, ვიცოდი — სანაკრებოდ მზად ვიყავი“.

ჩვენ კი აი, რა გავიხსენოთ: მაიკლ ოუენის სანაკრებო კარიერიდან უფრო ხშირად ორ მატჩს იხსენებენ — საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან მერვედფინალს და ამ შესარჩევ ეტაპზე გერმანიასთან მატჩებს. ბოლოს და ბოლოს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გატანილი ჰეთ თრიქი მთავარი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი ხომ ნაღდად გახდა, მისი საუკეთესოდ დასახელებისთვის.

და რა იქნება მერე?

„ხანდახან დასვენება მჭირდება, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს თამაში უბრალოდ წარმოუდგენელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს დაღლილობას ვუჩიოდე. როგორც ჟერარ ულიე მეუბნება, დასვენებას ორმოცისა რომ გავხდები, მერეც მოვასწრებ“.

## წლის საუკეთესო გუნდი

| | |
|---|---|
| 1959 | უნგრეთი |
| 1960 | სსრკ |
| 1961 | ავსტრია |
| 1962 | ჩეხოსლოვაკია |
| 1963 | შვედეთი |
| 1964 | უნგრეთი, ესპანეთი |
| 1965 | ინგლისი |
| 1966 | ინგლისი |
| 1967 | სსრკ |
| 1968 | გფრ |
| 1969 | ინგლისი |
| 1970 | იტალია |
| 1971 | ინგლისი, სსრკ |
| 1972 | გფრ |
| 1973 | იტალია |
| 1974 | გფრ, ჰოლანდია |
| 1975 | ჩეხოსლოვაკია |
| 1976 | გფრ |
| 1977 | გფრ |
| 1978 | ჰოლანდია |
| 1979 | იუგოსლავია |
| 1980 | გფრ |
| 1981 | გფრ |
| 1982 | იტალია |
| 1983 | დანია |
| 1984 | საფრანგეთი |
| 1985 | სსრკ |
| 1986 | ესპანეთი |
| 1987 | ინგლისი |
| 1988 | ჰოლანდია |
| 1989 | ჰოლანდია |
| 1990 | გფრ |
| 1991 | საფრანგეთი |
| 1992 | დანია |
| 1993 | გერმანია |
| 1994 | იტალია, შვედეთი |
| 1995 | ესპანეთი |
| 1996 | გერმანია |
| 1997 | ესპანეთი |
| 1998 | საფრანგეთი |
| 1999 | ნორვეგია |
| 2000 | საფრანგეთი |
| 2001 | ესპანეთი |

## ფრანს ფუტბოლის ყველა ლაურეატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1956 | სტენლი მეტიუზი | ბლეკპული | ინგლისი |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანი | რეალი | არგენტინა/ესპანეთი |
| 1958 | რაიმონ კოპა | რეალი | საფრანგეთი |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი | არგენტინა/ესპანეთი |
| 1960 | ლუის სუარესი | ბარსელონა | ესპანეთი |
| 1961 | ომარ სივორი | იუვენტუსი | იტალია |
| 1962 | იოჟეფ მასოპუსტი | დუკლა | ჩეხოსლოვაკია |
| 1963 | ლევ იაშინი | დინამო მოსკოვი | სსრკ |
| 1964 | დენის ლოუ | მანჩესტერ იუნაიტედი | შოტლანდია |
| 1965 | ეუსებიო | ბენფიკა | პორტუგალია |
| 1966 | ბობი ჩარლტონი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი |
| 1967 | ფლორიან ალბერტი | ფერენცვაროში | უნგრეთი |
| 1968 | ჯორჯ ბესტი | მანჩესტერ იუნაიტედი | ჩრდ. ირლანდია |
| 1969 | ჯანი რივერა | მილანი | იტალია |
| 1970 | გერდ მიულერი | ბაიერნი | გფრ |
| 1971 | იოჰან კრუიფი | აიაქსი | ჰოლანდია |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გფრ |
| 1973 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1974 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი | დინამო კიევი | სსრკ |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გფრ |
| 1977 | ალან სიმონსენი | მიონხენგლადბახი | დანია |
| 1978 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1979 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1980 | კარლ ჰაინც რუმენგე | ბაიერნი | გფრ |
| 1981 | კარლ ჰაინც რუმენგე | ბაიერნი | გფრ |
| 1982 | პაოლო როსი | იუვენტუსი | იტალია |
| 1983 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1984 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1985 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1986 | იგორ ბელანოვი | დინამო კიევი | სსრკ |
| 1987 | რუუდ გულიტი | მილანი | ჰოლანდია |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1989 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1990 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გფრ |
| 1991 | ჟან პიერ პაპენი | მარსელი | საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა | ბულგარეთი |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | დორტმუნდი | გერმანია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |

# FIFA WORLD PLAYER 2001

## 2001 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას ვერსია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 27/135 | 35/105 | 10/10 | 250 |
| დევიდ ბექჰემი | მანჩესტერ იუნ. | ინგლისი | 30/150 | 23/69 | 19/19 | 238 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 10/50 | 12/36 | 10/10 | 96 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 12/60 | 9/27 | 7/7 | 94 |
| რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია | 11/55 | 7/21 | 16/16 | 92 |
| ხუან ვერონი | მანჩესტერ იუნ. | ირგენტინა | 9/45 | 6/18 | 8/8 | 71 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 8/40 | 5/15 | 10/10 | 65 |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი | 4/20 | 11/33 | 8/8 | 61 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 6/30 | 4/12 | 4/4 | 46 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია | 5/25 | 4/12 | 3/3 | 40 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 0/0 | 3/9 | 6/6 | 15 |
| მანუელ რუი კოშტა | მილანი | პორტუგალია | 2/10 | 1/3 | 1/1 | 14 |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი | საფრანგეთი | 2/10 | 1/3 | 0/0 | 13 |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | შვედეთი | 1/5 | 1/3 | 1/1 | 9 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 1/5 | 1/3 | 0/0 | 8 |
| გაბრიელ ბატისტუტა | რომა | არგენტინა | 0/0 | 2/6 | 2/2 | 8 |
| შტეფან ეფენბერგი | ბაიერნი | გერმანია | 1/5 | 0/0 | 0/0 | 5 |
| ალენ ბოკშიჩი | მიდლსბრო | ხორვატია | 1/5 | 0/0 | 0/0 | 5 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნ. | ჰოლანდია | 0/0 | 1/3 | 1/1 | 4 |
| ერნან კრესპო | ლაციო | არგენტინა | 0/0 | 1/3 | 1/1 | 4 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | იტალია | 0/0 | 0/0 | 4/4 | 4 |
| ოსკარ კორდობა | ბოკა ხუნიორსი | კოლუმბია | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| გაისკა მენდიეტა | ლაციო | ესპანეთი | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ებე სანდი | შალკე | დანია | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ალესანდროტ ნესტა | ლაციო | იტალია | 0/0 | 0/0 | 3/3 | 3 |
| ხავიერ სავიოლა | ბარსელონა | არგენტინა | 0/0 | 0/0 | 3/3 | 3 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | ბრაზილია | 0/0 | 0/0 | 2/2 | 2 |
| ჰიდეტოში ნაკატა | არსენალი | იაპონია | 0/0 | 0/0 | 2/2 | 2 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| ლუის ენრიკე | ბარსელონა | ესპანეთი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| იონ დალ ტომასონი | ფეიენოორდი | დანია | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| ალი დაეი | ჰერტა | ირანი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| სიბუსისო ზუმა | კოპენჰაგენი | სამხ. აფრიკა | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| როი კინი | მანჩესტერ იუნ. | ირლანდია | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| კარლოს ალბერტო | ? | ? | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| დიეგო სიმეონე | ლაციო | არგენტინა | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |



# მსოფლიომ ლუიშ ფიგუს ჰოლანდია კარგად გაუხსენა

„ფრანს ფუტბოლის" მიერ მაიკლ ოუენის ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებიდან ათ წუთში ციურიხის ტელეცენტრის სცენაზე ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ავიდა და გამოაცხადა — ლუიშ ფიგუ. ეს ნიშნავდა, რომ მსოფლიოს ნაკრებთა მწვრთნელებმა 2001 წლის საუკეთესო მოთამაშედ პორტუგალიელი მიიჩნიეს.

თუმცა სანამ ბლატერი ფიგუს გვარს წარმოთქვამდა, გალას დაწყებიდან დიდი დრო გავიდა, რაც ფიფას ჩინოსნებმა და საგანგებო სტუმრებმა სხვა ნომინაციებს დაუთმეს. მაშ, ასე!

ფიფამ წლეულს დააწესა თავისივე პრეზიდენტის საგანგებო ჯილდო, რომელიც, ცხადია, თავად ბლატერმა გადასცა ჩვენთვის უცნობი ყმაწვილი ტრინიდადელი ფეხბურთელის დედას. თავად ფეხბურთელი ციურიხში ვერ ჩავიდა, რადგან ერთ-ერთი მატჩისას მიღებულმა ტრავმამ სამუდამოდ მიაჯაჭვა ინვალიდის ეტლს და მისი საგანგებო პრიზით დაჯილდოვების მიზეზიც ეს სამწუხარო ამბავი გახდა.

შემდეგ სცენაზე განელი სუმაილა აბდალა მიიწვიეს, რომელმაც ასევე საგანგებო პრიზი განთქმული თვისტომისგან, აბედი პელესგან მიიღო. აბდალას დამსახურება კი ის ყოფილა, რომ მოედანზე შეჯახებისგან გონდაკარგული მეტოქისთვის ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარებია და გადაურჩენია.

მერე იმ ნომინაციის ჯერიც დადგა, რომლის გამარჯვებაც რა ხანია, ცნობილია. როცა ვესტჰემელმა პაოლო დი კანიომ ევერტონელი მეკარე წაქცეული დაინახა და ხელსაყრელი პოზიცი-

## ფიფას ყველა ლაურეატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გერმანია |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | რომარიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | რონალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 2001 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ანდორა | დავიდ როდრიგო | ზიდანი | კანი | შევჩენკო |
| ანგოლა | მარიო კალადუ | ფიგუ | რივალდო | ბექჰემი |
| არგენტინა | მარსელო ბიელსა | რაული | ბექჰემი | ნესტა |
| სომხეთი | ვარუჟან სუკიასიანი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| ავსტრია | ოტო ბარიჩი | რაული | ანრი | კანი |
| აზერბაიჯანი | ვალერი ხაჯიევი | კანი | ფიგუ | ბექჰემი |
| ბაჰამის კ-ები | გარი უაითი | ბექჰემი | რაული | ჯერარდი |
| ბაჰრეინი | ვოლფგანგ ზიდკა | კანი | ბექჰემი | კრესპო |
| ბანგლადეში | ჯორჯ კოტანი | ბექჰემი | რივალდო | კანი |
| ბარბადოსი | კენვილ ლაინი | ფიგუ | ბექჰემი | ზიდანი |
| ბელარუსი | ედუარდ მალოფეევი | შევჩენკო | ოუენი | ვერონი |
| ბელგია | რობერ ვასეჟი | ტოტი | რაული | შევჩენკო |
| ბელიზი | ედუარდო სანტანა | ვერონი | კორდობა | ბექჰემი |
| ბერმუდი | რობერტ კალდერონი | რაული | ვიეირა | ტოტი |
| ბოსნია | დრაგო სმაილოვიჩი | კანი | რაული | ანრი |
| ბრაზილია | ლუიშ ფელიპე სკოლარი | ფიგუ | ბექჰემი | ვერონი |
| ბრიტანეთის ვირჯინია | პატრიკ მიჩელი | ვერონი | ბექჰემი | რივალდო |
| ბულგარეთი | სტოიჩო მლადენოვი | ფიგუ | ბექჰემი | ზიდანი |
| ბურუნდი | დომინიკ ნიონზიმა | რაული | ოუენი | ბექჰემი |
| კამბოჯა | იან სხენგი | ზიდანი | ფიგუ | ოუენი |
| კამერუნი | ვინი შეფერი | კანი | ზიდანი | ბექჰემი |
| კანადა | ჰოლგერ ოსიეკი | ბექჰემი | ოუენი | ვერონი |
| კაბო ვერდე | ოსკარ დუარტე | ფიგუ | ოუენი | რივალდო |
| კაიმანის კ-ები | მარსიო ბარსელო | რივალდო | რაული | ოუენი |
| ჩილე | ხორხე გარსესი | ბექჰემი | რივალდო | რაული |
| ჩინეთი | ბორა მილუტინოვიჩი | ოუენი | ფიგუ | სიმეონე |
| ტაივანი | იენ ჩენ ხუანგი | რივალდო | ზიდანი | ნაკატა |
| კოლუმბია | ფრანსისკო მატურანა | რივალდო | ტოტი | ვერონი |
| კუკის კ-ები | მორის ტილოტსონი | ბექჰემი | ფიგუ | ოუენი |
| კოსტა რიკა | ალესანდრე გუიმარესი | რაული | ფიგუ | ვერონი |
| კოტ დივუარი | ბამბა ლამბა | ზიდანი | ფიგუ | ბატისტუტა |
| ხორვატია | მირკო იოჟიჩი | რაული | ტოტი | ფიგუ |
| კუბა | უილიამ ბარაკი | ფიგუ | ოუენი | რაული |
| კვიპროსი | ხრისტოს ხარალამბუსი | ბექჰემი | ოუენი | ფიგუ |
| ჩეხეთი | იოჟეფ ხოვანეცი | რივალდო | ბექჰემი | ფიგუ |
| დანია | მორტენ ოლსენი | ფიგუ | რაული | ოუენი |
| ჯიბუტი | მოჰამედ ალი | ფიგუ | ბექჰემი | შევჩენკო |
| დომინიკა | ხუან ემილიო | ბექჰემი | ფიგუ | ვერონი |
| ეკვადორი | ერნან დარიო გომესი | ვერონი | ფიგუ | სავიოლა |
| სალვადორი | კარლოს რესინოსი | ფიგუ | ბექჰემი | კანი |
| ინგლისი | სვენ გორან ერიკსონი | ვერონი | ანრი | ნესტა |
| ერითრია | ტეკი აბრაჰა | ბექჰემი | ფიგუ | ოუენი |
| ესტონეთი | არნო პიიპერსი | ფიგუ | ბექჰემი | რაული |
| ეთიოპია | ასრათ ჰაილი | ფიგუ | ბექჰემი | ოუენი |
| ფარერის კ-ები | ალან სიმონსენი | რივალდო | ზიდანი | ფიგუ |
| ფიჯი | ბილი სინჰი | რივალდო | ბექჰემი | ფიგუ |
| ფინეთი | ანტი მუურინენი | ბექჰემი | ფიგუ | ნესტა |
| საფრანგეთი | როჟე ლემერი | ოუენი | ვერონი | ლუის ენრიკე |
| გაბონი | ალენ და კოშტა | ვიეირა | შევჩენკო | ფიგუ |
| საქართველო | ალექსანდრე ჩივაძე | ტოტი | შევჩენკო | ბექჰემი |
| გერმანია | რუდი ფიოლერი | ტოტი | ბექჰემი | რაული |
| საბერძნეთი | ოტო რეჰაგელი | რივალდო | ბექჰემი | კანი |

# FIFA WORLD PLAYER 2001



დევიდ ბექემი



რაულ გონსალეს ბლანკო

## წლის საუკეთესო გუნდი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰონდურასი | 39,7 | ბაჰრეინი | 35,8 |
| კოლუმბია | 38,4 | მექსიკა | 35,7 |
| კოსტა რიკა | 37,8 | ჩინეთი | 35,1 |
| ავსტრალია | 37,4 | ეკვადორი | 34,4 |
| ურუგვაი | 36,3 | ვენესუელა | 34,1 |

დან დარტყმა არ იკადრა, მაშინვე ითქვა, იტალიელს ფეირ პლეის პრიზს ვერავინ შეეცილებაო.

ეს ამბავი კი იყო ცნობილი, მაგრამ დაჯილდოებამ კინაღამ დი კანიოს გარეშე ჩაიარა, რომელიც მილანში ყოფილა და ციურიხში მანქანით წასულმა ბოლო წამს ჩაასწრო.

დი კანიო ტაშით რომ გაისტუმრეს, არითმეტიკის რიგი მოვიდა. ანუ დაიანგარიშეს წლის განმავლობაში ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში ყველაზე დიდი ნახტომი (ცხადია, წინ) ვინ გააკეთა. ასეთი კოსტა რიკას ნაკრები აღმოჩნდა. მეორე ავსტრალია იყო, მესამე კი ჰონდურასი.

სამაგიეროდ, ჰონდურასელებმა არავის დაანებეს წლის საუკეთესო ნაკრების სახელი. ეგებ სასაცილოც იყოს, მაგრამ ასეა და ჩვენ ვერაფერს შევცვლით. თუმცა ის კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჰონდურასმა წლევანდელ კოპა ამერიკაზე თავის ისტორიაში პირველად დაამარცხა ბრაზილია და სწორედ ეს გამარჯვება დაუფასეს (და რა დააშავა ეკვადორმა, რომელმაც ასევე სძლია ბრაზილიას და თან მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გააღწია?).

შემდეგ რეიტინგში პირველადგილოსანს, ანუ საფრანგეთის ნაკრებს მიაგეს პატივი, ჯილდო ფედერაციის პრეზიდენტს ან როჟე ლემერს კი არა, არამედ მიშელ პლატინის გადასცეს.

საუკეთესო ქალი ფეხბურთელი ამერიკელი მია ჰამი გახდა, რომელმაც ჩინელი სუნ ვენი და თანამემამულე ტიფანი მილბრეტი ჩამოიტოვა.

დაბოლოს, ყველა ამ ნომინაციის შემდეგ ზეპ ბლატერმა წარმოთქვა: ლუიშ ფიგუ!

ბარათი, რომელზეც წლის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი ეწერა, კონვერტში 1 დეკემბერს ჩაიდო, დაილუქა და სამშაბათამდე საიდუმლოდ ინახებოდა. მხოლოდ ის ითქვა, სამეულში რაული, ბექემი და ფიგუ არიანო. ბჭობაც მას მერე მიდიოდა: რაული, ბექემი თუ ფიგუ?

რაულმა წლეულს უამრავი გოლი გაიტანა, ივნისში პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, ხოლო ესპანეთის ნაკრები სულაც ოფლის დაუღვრელად მიდის კორეა-იაპონიაში.

ბექემის წლევანდელ მონაგარზე ლაპარაკისას უპირველესად ბერძენთა კარში ბოლო წუთზე გატანილ გოლს აღნიშნავენ, რომელმაც ინგლისის ნაკრები პლეი ოფში თამაშს გადაარჩინა.




მიშელ პლატინი

ფიგუ კი ის კაცია, რომელიც კლუბში უდიდეს სამუშაოს ეწევა, ზიდანმა ვერ დაჩრდილა და, ალბათ, მთავარიც — გახსოვთ, შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდია პორტუგალიას 90-ე წუთამდე 2:0-ს რომ უგებდა, წამატებულ ხუთ წუთში რა მოხდა? ფიგუმ (და არა პორტუგალიის ნაკრებმა) ის მატჩი ფრედ დაასრულა და მაშინ დაკარგულმა ორმა ქულამ ჰოლანდია იმსხვერპლა.

გუშინწინ კი ზეპ ბლატერი სცენაზე ავიდა და თქვა: ფიგუ!

**გიორგი დარჯანია**

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|
| გუამი | უილიამ მაკფაული | ბექემი | ფიგუ | ტოტი |
| ჰონდურასი | რამონ შავესი | ბექემი | ვერონი | ფიგუ |
| ჰონ კონგი | სანგ ვაი ჩუნგი | ბექემი | ფიგუ | რივალდო |
| უნგრეთი | იმრე დელეი | კანი | ოუენი | ფიგუ |
| ისლანდია | ატლი ედვალდსონი | ეფენბერგი | მენდიეტა | ფიგუ |
| ინდოეთი | შუკვინდერ სინგჰი | ბექემი | ფიგუ | ვერონი |
| ირანი | მიროსლავ ბლაჟევიჩი | ბოკშიჩი | შევჩენკო | ფიგუ |
| ისრაელი | რიქარდ მიოლერ ნილსენი | ბექემი | რაული | ტომასონი |
| იტალია | ჯოვანი ტრაპატონი | რუი კოშტა | კრესპო | კანი |
| იამაიკა | კარლ ბრაუნი | ზიდანი | ფიგუ | ანრი |
| იაპონია | ფილიპ ტრუსიე | ბექემი | ტოტი | ანრი |
| იორდანია | მუნემ ფაკური | ბექემი | ვერონი | ზიდანი |
| ყაზახეთი | ვაჰიდ მასუდოვი | ფიგუ | კანი | რივალდო |
| ქუვეითი | ბერტი ფოგთსი | ბექემი | ფიგუ | კანი |
| ყირგიზეთი | ალმაზ ჩოკმოროვი | ზიდანი | შევჩენკო | ნაკატა |
| ლატვია | ალექსანდრს სტარკოვსი | ტოტი | ფიგუ | ბექემი |
| ლიხტენშტაინი | რალფ ლუუსი | კანი | ოუენი | რაული |
| ლიტვა | ბენიამინას ზელკიავიჩუსი | ფიგუ | ბექემი | ელბერი |
| ლუქსემბურგი | პოლ ფილიპი | ოუენი | რაული | ბექემი |
| მაკაო | ეიჯი უედა | ბექემი | ოუენი | დელ პიერო |
| მაკედონია | გეორგე იოვანოვსკი | ზიდანი | ფიგუ | ბექემი |
| მალავი | კიმ სპილდსბელი | ბექემი | სანდი | ზუმა |
| მალაიზია | ალან ჰარისი | ფიგუ | რივალდო | ბექემი |
| მალდივეთი | აბდულ გაფური | ფიგუ | ბექემი | რივალდო |
| მალტა | ზიგფრიდ ჰელდი | კანი | ზიდანი | ელბერი |
| მავრიკეთი | კადრიველ დორასანი | ზიდანი | რივალდო | ბექემი |
| მექსიკა | ხავიერ აგირე | ბექემი | ზიდანი | რაული |
| მოლდოვა | ალექსანდრ სპირიდონი | შევჩენკო | კანი | ბექემი |
| მონსერატი | პოლ მორისი | ბექემი | რობ. კარლოსი | ზიდანი |
| მაროკო | უმბერტუ კოელიუ | ფიგუ | რუი კოშტა | რაული |
| მოზამბიკი | აუგუსტო მატინი | ფიგუ | ზიდანი | რივალდო |
| მიანმარი | დევიდ ბუტი | ფიგუ | ბექემი | ოუენი |
| ჰოლანდია | ლუის ვან გაალი | ბექემი | ფიგუ | როი კინი |
| ახალი ზელანდია | კენ დაგლალი | ბექემი | ფიგუ | ანრი |
| ნიგერია | ამადუ შაიბუ | ფიგუ | ბატისტუტა | დელ პიერო |
| ჩრდილოეთ ირლანდია | სემი მაკილროი | ვერონი | ფიგუ | ზიდანი |
| ნორვეგია | ნილს იოჰან სემბი | შევჩენკო | ბექემი | კანი |
| ომანი | რაშიდ ჯაბირი | ზიდანი | ფიგუ | ბექემი |
| პალესტინა | ისმაილ ალ მასრი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| პანამა | გარი შტემპელი | ბექემი | ფიგუ | ზიდანი |
| პარაგვაი | სერხიო მარქარიანი | ვერონი | ბექემი | ვან ნისტელროი |
| პერუ | ხულიო ურიბე | ვერონი | ფიგუ | რივალდო |
| ფილიპინები | მასატაკა იმაი | ვიეირა | კანი | შევჩენკო |
| პოლონეთი | ეჟი ენგელი | ფიგუ | ბექემი | რივალდო |
| პორტუგალია | ანტონიუ ოლივეირა | რაული | ანრი | ბექემი |
| ირლანდია | მიკ მაკარტი | რუი კოშტა | ვერონი | ოლისადებე |
| რუმინეთი | გეორგე ჰაჯი | ბექემი | ფიგუ | ტოტი |
| რუსეთი | მიხაილ გერშკოვიჩი | შევჩენკო | ფიგუ | რაული |
| სან მარინო | ჯამპაოლო მაცა | ტოტი | რაული | ოუენი |
| საუდის არაბეთი | ნასერ იოჰარი | რივალდო | ბატისტუტა | ზიდანი |
| შოტლანდია | კრეიგ ბრაუნი | რაული | ბექემი | ლარსონი |
| სიერა ლეონე | სემ ობი მეცგერი | ბექემი | ფიგუ | რივალდო |
| სინგაპური | იან პოულსენი | ბექემი | ვერონი | კანი |
| სლოვაკეთი | იოჟეფ ადამეცი | რივალდო | ფიგუ | ანრი |
| სლოვენია | სრეჩკო კატანეცი | ფიგუ | ზიდანი | დელ პიერო |
| სოლომონის კ-ები | ჯორჯ კოუი | ბექემი | ფიგუ | ვერონი |
| სამხრეთ აფრიკა | კარლოს კეიროში | ფიგუ | ოუენი | ბატისტუტა |
| ესპანეთი | ხოსე ანტონიო კამაჩო | რობ. კარლოსი | ფიგუ | რივალდო |
| სუდანი | აჰმედ ელფაკი | ზიდანი | რივალდო | ბექემი |
| სურინამი | რონალდ კოლფი | ბექემი | ვანნისტელროი | ანრი |
| სვაზილენდი | დუმისა მაჰლალელა | ოუენი | რაული | ბექემი |
| შვედეთი | ტომი სოდერბეგი | ვერონი | ბექემი | რაული |
| შვეიცარია | იაკობ კული | კანი | ოუენი | სავიოლა |
| სირია | მილოსავ რადენოვიჩი | რივალდო | ბექემი | რუი კოშტა |
| ტაჯიკეთი | გაფუპოვ სალდხიდინი | შევჩენკო | ზიდანი | დაეი |
| ტაილანდი | პიტერ ვაიტი | ბექემი | ლარსონი | რივალდო |
| ტონგა | ჰეინავე კაიფა | ფიგუ | ზიდანი | სავიოლა |
| ტრინიდადი და ტობაგო | რენე სიმოეში | ფიგუ | ვერონი | რაული |
| ტუნისი | ხემაის ლაბიდი | რივალდო | ფიგუ | დელ პიერო |
| თურქეთი | შენოლ გიუნეში | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| კაიკოსის კ-ები | ჩარლი კუკი | ლარსონი | რაული | ბექემი |
| ამერიკის ვირჯინია | გლედ ბუგარიუ | რაული | რივალდო | კანი |
| უკრაინა | ვალერი ლობანოვსკი | ფიგუ | რაული | კარლოსალბერტო |
| აშშ | ბრიუს არენა | ფიგუ | კანი | ბექემი |
| უზბეკეთი | ვლადიმირ სალკოვი | შევჩენკო | რაული | კანი |
| ვენესუელა | რიჩარდ მონსონი | ვერონი | ფიგუ | რივალდო |
| ვიეტნამი | ნგიენ საი ჰიენი | რაული | ფიგუ | ბექემი |
| იუგოსლავია | დეიან სავიჩევიჩი | ფიგუ | ტოტი | რივალდო |

# იტალია

პაპუნა კედია

# დღეს 10 ოქტომბერია

**გადადებული VI ტური**

დღეს

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | მილანი |
| ბოლონია | - | უდინეზე |
| კიევო | - | ლაციო |
| ფიორენტინა | - | იუვენტუსი |
| ინტერი | - | ვერონა |
| ლეჩე | - | პერუჯა |
| რომა | - | ბრეშა |
| ტორინო | - | პარმა |
| ვენეცია | - | პიაჩენცა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 14 | 9 | 2 | 3 | 28:16 | 29 |
| რომა | 14 | 8 | 5 | 1 | 21:9 | 29 |
| ინტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 25:14 | 28 |
| იუვენტუსი | 14 | 6 | 6 | 2 | 22:12 | 24 |
| ლაციო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:10 | 23 |
| მილანი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:16 | 23 |
| ბოლონია | 14 | 7 | 2 | 5 | 11:12 | 23 |
| ვერონა | 14 | 6 | 4 | 4 | 21:19 | 22 |
| ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 20:24 | 20 |
| უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 23:24 | 18 |
| ბრეშა | 14 | 4 | 5 | 5 | 19:24 | 17 |
| პიაჩენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 18:19 | 15 |
| ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 16:20 | 14 |
| ლეჩე | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 |
| პერუჯა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:18 | 13 |
| ფიორენტინა | 14 | 4 | 1 | 9 | 16:29 | 13 |
| პარმა | 14 | 2 | 5 | 7 | 15:23 | 11 |
| ვენეცია | 14 | 1 | 4 | 9 | 8:21 | 7 |

**გაგონილა?** ის არ ეყოფოდათ, სერია A-ში პირველად ალზევებულმა, მეტოქეები ერთი-მეორის მიყოლებით რომ იფრინა? დადგნენ და კალენდარი გაურთულეს. არა, იმას არ ვამტკიცებთ, რომ „კიევოს" მტრები ჰყავს, რომლებიც საგანგებოდ მისთვის ხლართავენ უძნელესი მატჩებისგან შედგენილ კომბინაციებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჯერ იყო და სტუმრად ათამაშეს „მილანთან", მერე ერთ შეხვედრას არა უშავდა და შემდეგ მიეწყო: „ინტერი", „ლაციო" და „რომა". როგორია? აბა, თავად ამ გუნდთაგან რომელიმემ სცადოს ასეთი მწკრივის ღირსეულად ჩავლა. „კიევო" კი ძალიან ღირსეულად მიდის, „მილანთან" მსაჯის შეცდომის გამო წააგო, იმ არაუშავს შეხვედრაში, „ლეჩესთან" გაიმარჯვა და წინა შაბათს, ისევ „სან სიროზე" „ინტერი" დაამარცხა.

დღეს კი ვერონაში „კიევო" — „ლაციოა" და ცხადია, როგორც ნებისმიერ წინა ტურში, ყველა ისევ „კიევოს" მარცხს ელის — გულის სიღრმეში მაინც.

ამ შეხვედრაში „კიევოს" მარცხს ელის, თუმცა ელის კი არა და ნატრულობს მასთან ერთად თანაბარი ქულებით ცხრილის სათავეში გამაგრებული „რომაც". დიახ, „რომა" მზად არის თვით „ლაციოსგან" მიიღოს საჩუქარი. „ლაციო" კი, მოგეხსენებათ, ის გუნდია, რომელსაც „რომა" ზემოდან უყურებს, აქაოდა, მე ქალაქის ცენტრალურ უბანთა მაცხოვრებლების საყვარელი გუნდი ვარ, შენ კი გარეუბნებისაო.

თავად „რომა" „სტადიო ოლიმპიკოზე" „ბრეშას" მასპინძლობს. ეს ის „ბრეშაა", რომელმაც ჩემპიონი ერთი კვირის წინ იტალიის თასზე დაამარცხა, მაგრამ ახლა იგივე შედეგი თითქმის



კარლო მაცონე ბავშვობას უბრუნდება

გამორიცხულია. ამას უბრალოდ ფაბიო კაპელო და მისი ბრაზიანი ბიჭები არ დაუშვებენ.

ისე, „რომა" — „ბრეშას" მეორე მხარეც აქვს, ასე ვთქვათ, სენტიმენტალური. კერძოდ, ბრეშელთა მწვრთნელი, კარლო მაცონე რომაელია, ამ ქალაქში დაბადებულ-გაზრდილი, მისი შვილი და „რომას" ოდინდელი მწვრთნელი. მისი მუშაობის ხანა ადგილობრივ ქომაგებს (ასე ვთქვათ, ცენტრალური უბნების მაცხოვრებლებს) კარგად ახსოვთ და თვლიან, რომ მართალია კარგა ხნის წინ იყო, მაცონემ მაინც ჩაუყარა საფუძველი იმას, რაც შემდეგ, კაპელომ სკუდეტოდ აქცია. ერთი სიტყვით, საქმე ნოსტალგიასა და პატივისცემასთან გვაქვს.

თუმცა, საქმე წამლებთანაც გვაქვს. აქ, იმას ვგულისხმობთ, რომ „ბრეშას" ლიდერს, დაშავებულ რობერტო ბაჯოს ექიმები წამლობენ, ესპანელ ნახევარმცველს, გამოცდილ ხოსეპ გვარდიოლას კი ბრალს სდებენ აკრძალულ წამლებს ეტანები და დისკვალიფიკაციას ელოდეო.

ახლა კი იმაზე შევჩერდეთ, თუ რა მოხდება, „კიევოს" და „რომას" წყვილად რომ დაუცლეთ ფეხი. თუმცა, აქ დიდი ანგარიში არ არის საჭირო. რა მოხდება და ის, რომ ცხრილის მწვერვალზე, ალბათ, ისევ „ინტერი" აბრუნდება. ის „ვერონას" მასპინძლობს.

„იუვენტუსი", ლიდერთა ქვევით, მეოთხე ადგილზე მრისხანედ გარინდული, დღეს ფლორენციაში „ფიორენტინასთან" თამაშობს. არც ეს არის ჩვეულებრივი შეხვედრა, რადგან „ფიორენტინა" — „იუვენტუსი" ჩვეულებრივი არასდროს არის — ფლორენციაში „ბებერი ქალბატონი" ეზიზღებათ და ამ გუნდის ავტობუსისთვის ქვების დაყრის შემთხვევებს ხელიდან არ უშვებენ.

სანამ ტურინელები ქალაქგარეთ მიდიან, ქალაქში, „სტადიო დელლე ალპიზე" იქაური მეორე გუნდი, „ტორინო" ითამაშებს, „პარმას" უმასპინძლებს. „პარმასთვის", უფრო სწორად კი მისი არგენტინელი მწვრთნელის დანიელ პასარელასთვის ეს მატჩი ეგებ საბედისწეროც ყოფილიყო, მაგრამ არ აცალეს, იქამდე მოხსნეს. ხუმრობა ხომ არ არის, რაც პასარელამ ოკეანე გადმოლახა და იტალიაში ჩავიდა, გუნდმა ხუთი თამაში ჩაატარა და ხუთივე წააგო. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ „პარმა", თუ სატრანსფერო ბაზარზე დახარჯულ ფულს დავუთვლით, მეექვსე ადგილზეა, ასეთ დროს კი...

და ბოლოს, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს ტური 10 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო.

# პასარელა ტანცის კაცი აღარ არის

## პარმა: სკალა თუ საკი?



დანიელ პასარელა

**ვერ გამოდგა** არგენტინელი დანიელ პასარელა კარგი დამრიგებელი. ბუენოს აირესის პროვინცია ჩაკაბუკოში დაბადებული 48 წლის პასარელა გუშინ „პარმას" მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს. თვისა და 12 დღის განმავლობაში მოძღვრავდა არგენტინელი პარმელებს.

ერთ დროს თასების მფლობელთა და უეფას თასის მფლობელი, ბოლო წლებში მუდამ სერია A-ს ცხრილის ექვსეულში მოტრიალე „პარმა", ახლა იმავე ცხრილის ფსკერზეა დალექილი. მხოლოდ ერთი თამაში მოიგო „პარმამ" არგენტინელის თავკაცობით, როცა უეფას თასზე, მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში, საშინაო 1:1-ის მერე, დანიური „ბრონდბიუ" მისსავე „პარკენზე" 3:0 გაანადგურა.

პასარელას კარისკენ, როგორც გითხარით, გუშინ მიუთითეს, გმადლობთ გაწეული სამუშაოსთვის, მაგრამ შედეგია მთავარიო. მწვრთნელის პოსტიც ვაკანტურია. როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, „პარმას" პრეზიდენტ კალისტო ტანცის ნევიო სკალას ან არიგო საკის გუნდში დაბრუნება სურს. ჯერჯერობით არავინ იცის, დაითანხმებს თუ არა ტანცი ან ერთს, ან მეორეს. ასახელებენ მაურო ტასოტისაც, რომელიც ახლა „მილანის" ახალგაზრდულ გუნდს უდგას სათავეში.

დღეს „პარმა" ტურინის „დელლე ალპიზე" მეექვსე ტურის გადადებულ შეხვედრას თამაშობს „ტორინოსთან". რაც უნდა იყოს, მატჩის წინადღეს მწვრთნელის გათავისუფლება გუნდს კარგს არაფერს უნდა უქადდეს.

დღეს „პარმას" პასარელას თანაშემწე გედეონე კარმინანი უხელმძღვანელებს.

**გიორგი ვაჩნაძე**

*წლევანდელ სეზონში დანიელ პასარელა გახდა მეშვიდე მწვრთნელი, რომელსაც ვადამდე დაატოვებინეს თანამდებობა.*

*მანამდე არგენტინელის ბედი გაიზიარეს:*

*20 სექტემბერი — რომის „ლაციოს" მწვრთნელი დინო ძოფი „მილანის" ყოფილმა თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ შეცვალა*

*9 ოქტომბერი — „ვენეციას" დამრიგებელი ჩეზარე პრანდელი უხეირო სტარტის გამო გაათავისუფლეს, მის მაგივრად ალფრედო მანი დანიშნეს*

*31 ოქტომბერი — „პარმას" პრეზიდენტმა კალისტო ტანციმ რენცო ულივიერი დაითხოვა და გუნდი არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებთა ყოფილ მწვრთნელს დანიელ პასარელას ჩააბარა*

*5 ნოემბერი — თურქი „იმპერატორი" ფათიჰ თერიმი „მილანის" მწვრთნელობიდან მოხსნეს და კარლო ანჩელოტი მიიწვიეს*

*10 დეკემბერი — „უდინეზეს" პრეზიდენტი ჯანპაოლო პოცო ინგლისელ როი ჰოჯსონს პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუსთვის შემოსწყრა და კლუბი გენუის „სამპდორიას" ყოფილ თავკაც ჯამპიერო ვენტურას გადააბარა*

# ბელგია

## II დივიზიონი

მე-17 ტური: დესელი — დაინცე 3:2; მეხელენი — მონსი 2:3; პატრო — ფლაანდერენი 3:0; სერკლი — ტიენენი 0:0; ინგელმუნსტერი — ვირტონი 1:1; ვიზე — ჰეუსდენი 2:3; დენდერლეეუ — სტრომბეეკი 1:1; რონსი — ლიეჟი 1:1; რუზელარე — გეელი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეხელენი | 18 | 11 | 6 | 1 | 31:9 | 39 |
| ინგელმუნსტერი | 17 | 11 | 2 | 4 | 28:14 | 35 |
| მონსი | 17 | 8 | 5 | 4 | 30:18 | 29 |
| დესელი | 17 | 7 | 6 | 4 | 30:18 | 27 |
| ჰეუსდენი | 18 | 6 | 8 | 4 | 26:21 | 26 |
| ფლაანდერენი | 17 | 7 | 5 | 5 | 21:24 | 26 |
| დენდერლეეუ | 17 | 6 | 6 | 5 | 17:21 | 24 |
| რონსი | 18 | 5 | 8 | 5 | 23:23 | 23 |
| სტრომბეეკი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:28 | 23 |
| რუზელარე | 17 | 5 | 7 | 5 | 21:20 | 22 |
| გეელი | 16 | 6 | 3 | 7 | 17:22 | 21 |
| სერკლი | 17 | 4 | 8 | 5 | 15:17 | 20 |
| ლიეჟი | 16 | 4 | 7 | 5 | 13:15 | 19 |
| ვირტონი | 17 | 4 | 5 | 8 | 18:21 | 17 |
| პატრო | 17 | 5 | 2 | 10 | 18:30 | 17 |
| დაინცე | 18 | 3 | 7 | 8 | 21:29 | 16 |
| ვიზე | 17 | 4 | 3 | 10 | 21:33 | 15 |
| ტიენენი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:27 | 13 |

# საფრანგეთი

## თასის ოცდამეთორმეტედფინალი

კრეტსვალი (V) — ლუსიტანო (III) 0:0 (პენ. 2:3); ისი-ლე-მულინე (VIII) — ავიონი (IV) 2:1დ.დ. (1:1); სენ პრაე (IV) — ოსერი 0:0 (პენ. 5:3); მილო (VI) — აიაჩო (II) 0:1; ტრუა — ნიცა (II) 0:0 (პენ. 2:0); მონტანარდე (VII) — კაენი (II) 2:1; შალონ-სიურ-საონე (V) — სედანი 2:3დ.დ. (2:2); მარსელი — სენ-ლუ-ლა-ფორე (VII) 2:0; ბასტია — ნანტი 3:1; დუაე (V) — ლორიანი 1:3დ.დ. (1:1); სტრასბური (II) — ლე მანი (II) 3:1დ.დ. (1:1); ლიბურნე სენ-სიურინი (IV) — ლილი 2:0; ურილე (IV) — შანჟე (V) 1:3დ.დ. (1:1); ფონტენეი (IV) — ლავალი (II) 0:1; ლა ფლეში (V) — შატორუ (II) 0:1; სენ-მალო (V) — ლიონი 0:6; ფრეჟუ (IV) — ბორდო 0:6; ლუკონი (VI) — პსჟ 0:2; რეიმსი (III) — რასინგი 92 (III) 1:0; იზიური (V) — კანი (III) 2:1; ტრელისაკი (IV) — ამიენი (II) 0:1; ბულონი (III) — სოშო 1:5დ.დ. (1:1); ვესული (IV) — მორაკო 2:3დ.დ. (1:1); ბალმა (IV) — რენი 0:1დ.დ. (0:0); ტური (IV) — გენგამი 2:2 (პენ. 1:3); ლუან-კისო (III) — სენტ ეტიენი (II) 1:0დ.დ. (0:0); ლე ავრი (II) — ნიმი (II) 0:0 (პენ. 3:5); ლა როშ-სიურ-იონი (III) — კლერმონი 1:0დ.დ. (0:0); ნანსი (II) — ნიორი (II) 3:1დ.დ. (1:1); მეცი — გრენობლი (II) 5:0; მონპელიე — მარტიგი (II) 3:2; ვალანსი (IV) — ლანსი 0:1

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ
# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა
## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 008 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 23.00 | 009 | კიოლნი-შტუტგარტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 010 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 011 | ჰანზა-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 015 | ბოხუმი-უნტერჰახინგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 016 | მაინცი-ალემანია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 017 | მაინცი-ალემანია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 018 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 019 | ვალდჰოფი-საარბრიუკენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 020 | შვაინფურტი-კარლსრუე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 021 | ჰანოვერი-უნიონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 023 | ლიდსი-ევერტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური** | | | |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 024 | დერბი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 026 | ლიდსი-ნიუკასლი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 027 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 028 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.25 | 5,0 | 9,0 |
| | 029 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-ფულემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 031 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 032 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 033 | ტოტენჰემი-იფსვიჩი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 034 | ჩელსი-ბოლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 035 | ლივერპული-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXV ტური** | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 036 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 1,7 | 3,4 | 4.0 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 037 | ბარნსლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 038 | ბირმინგემი-უოლსოლი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 039 | ბირმინგემი-უოლსოლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 040 | ბარნლი-მილუოლი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 041 | ქრიუ-სიტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 042 | ნორვიჩი-უიმბლდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 043 | პორტსმუთი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 044 | პრესტონი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6.0 |
| 19.00 | 045 | შეფილდი-როტერჰემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 046 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდეი | 1.5 | 3,5 | 6,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.15 | 048 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1.7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXIII ტური** | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 049 | სტოკი-კარდიფი | 1,75 | 3,1 | 4.2 |
| | | **21 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 050 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 051 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 052 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 053 | ნოტსი-სუინდონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 054 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 055 | ბორნმუთი-ქუინზ პარკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 056 | ბრისტოლი-რექსემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 057 | ბრისტოლი-რექსემი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბლეკპული | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 059 | კოლჩესტერი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 060 | პიტერბორო-ტრანმერი | 2.4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 061 | რედინგი-უიგანი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 062 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,35 | 4.0 | 7,5 |
| | 063 | უიკომბი-კემბრიჯი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 4 | ნაკ ბრედა (9) | 2:1 | | 2:0 | | : | | 1:0 | 0:1 | 0:0 | | 1:1 | | 2:1 | 5:0 | | | 3:3 | | 18 | 9 | 4 | 5 | 33:27 | 31 | 5 | 3 | 1 | 16:7 | 18 | 4 | 1 | 4 | 17:20 | 13 |
| 5 | ჰერენვენი (10) | 1:0 | 5:1 | 4:1 | 5:0 | | 1:1 | 1:2 | | : | | | 2:1 | | | 3:0 | 1:0 | | | 17 | 8 | 5 | 4 | 29:13 | 29 | 7 | 1 | 1 | 23:6 | 22 | 1 | 4 | 3 | 6:7 | 7 |
| 6 | ვიტესი არნემი (6) | | | | 1:0 | | | 1:0 | : | | | | 1:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:1 | | | 17 | 8 | 5 | 4 | 19:15 | 29 | 6 | 1 | 0 | 9:2 | 19 | 2 | 4 | 4 | 10:13 | 10 |
| 7 | უტრეხტი (5) | | : | 3:3 | | | 3:1 | | 2:1 | | | 3:1 | | 4:1 | 3:1 | | 6:0 | 1:1 | | 17 | 8 | 4 | 5 | 34:23 | 28 | 6 | 2 | 0 | 25:9 | 20 | 2 | 2 | 5 | 9:14 | 8 |
| 8 | ვალვაიკი (7) | 2:3 | 0:2 | | | 2:1 | | | | 3:3 | | | | 3:0 | 4:0 | 1:1 | 2:0 | | 1:0 | 18 | 8 | 3 | 7 | 26:20 | 27 | 5 | 2 | 2 | 18:10 | 17 | 3 | 1 | 5 | 8:10 | 10 |
| 9 | დენ ბოსხი ჰერტოგენბოსხი (ღ) | 0:0 | : | | | 0:0 | 4:1 | 1:1 | | | 2:1 | | | | | | 3:1 | 1:3 | 4:0 | 17 | 5 | 7 | 5 | 28:25 | 22 | 4 | 3 | 1 | 15:7 | 15 | 1 | 4 | 4 | 13:18 | 7 |
| 10 | ნეკ ნაიმეგენი (12) | 0:3 | | | 1:3 | 1:0 | 1:0 | 0:3 | 1:0 | | | | 1:0 | : | 1:0 | | | 2:0 | | 18 | 6 | 4 | 8 | 14:30 | 22 | 6 | 0 | 3 | 8:9 | 18 | 0 | 4 | 5 | 6:21 | 4 |
| 11 | ვილემ II ტილბურგი (8) | | | 3:1 | 2:2 | 2:2 | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 3:1 | | 2:2 | 1:1 | | | | : | | 18 | 4 | 9 | 5 | 27:29 | 21 | 3 | 6 | 0 | 18:12 | 15 | 1 | 3 | 5 | 9:17 | 6 |
| 12 | აზ 67 ალკმაარი (13) | 1:3 | | 1:1 | 2:1 | | | 1:0 | 0:1 | 3:2 | | | | 1:2 | | 3:0 | | | 3:0 | 18 | 6 | 3 | 9 | 19:23 | 21 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 | 1 | 2 | 6 | 4:13 | 5 |
| 13 | როდა კერკრადე (4) | 0:2 | 1:1 | 0:1 | | 0:2 | | | | 4:1 | 0:0 | | | | 3:1 | | 0:1 | | 1:0 | 18 | 5 | 4 | 9 | 18:26 | 19 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 11 | 2 | 2 | 5 | 9:17 | 8 |
| 14 | გრონინგენი (14) | | 1:4 | 2:2 | | 1:1 | | 2:2 | | 2:0 | | 1:0 | 0:1 | | | 0:0 | | 3:0 | 4:2 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:31 | 19 | 4 | 4 | 2 | 16:12 | 16 | 1 | 0 | 7 | 4:19 | 3 |
| 15 | სპარტა როტერდამი (17) | | | 2:1 | 2:3 | | | 3:1 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 3:2 | : | 0:3 | | | | 1:1 | | 18 | 4 | 7 | 7 | 18:34 | 19 | 3 | 4 | 2 | 12:12 | 13 | 1 | 3 | 5 | 6:22 | 6 |
| 16 | გრააფსხაპი დუტინხემი (15) | : | 1:1 | | 4:2 | | 0:2 | | | | 1:1 | 1:1 | 3:0 | | 1:2 | 3:0 | | 4:2 | | 18 | 5 | 3 | 10 | 22:33 | 18 | 4 | 3 | 2 | 18:11 | 15 | 1 | 0 | 8 | 4:22 | 3 |
| 17 | ტვენტე ენსხედე (11) | : | 0:2 | | | 0:0 | 0:0 | | 1:0 | | | 0:0 | 0:0 | 3:0 | | | | | 1:1 | 17 | 3 | 8 | 6 | 17:22 | 17 | 2 | 5 | 1 | 5:3 | 11 | 1 | 3 | 5 | 12:19 | 6 |
| 18 | ფორტუნა სიტარდი (16) | | | | 2:3 | 1:0 | 0:0 | : | 1:4 | 1:3 | 2:2 | 1:2 | | | | 3:4 | 2:1 | | | 17 | 2 | 3 | 12 | 16:40 | 9 | 2 | 2 | 5 | 13:19 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |

# 28 დეკემბრიდან „კროკოში" საახალწლო შესვენება. მუშაობა 4 იანვარს განახლდება

## საფრანგეთი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XVIII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.12.01 | 23.30 | 079 | 0:2ბასტია; სედანი1:1; ლანსი1:1 **ტრუა** V **მეცი** პსჟ0:2; 0:0რენი; მონაკო1:0 | 1,65 | 3,1 | 5,3 | | | | 1:2 | 2:2 3:2 | 2:2 1:3 | - |
| 19.12.01 | 23.30 | 080 | 0:0სედანი; მეცი0:0; 0:1ლილი **რენი** V **სოშო** 2:1ლილი; ოსერი1:2; 2:4მარსელი | 2,3 | 2,9 | 3,0 | | | | 3:4 | - | - | 4:0 3:0 |
| 19.12.01 | 23.30 | 081 | ტრუა2:0; 0:7ლანსი; ბორდო1:2 **ბასტია** V **გენგამი** ლანსი1:0; 0:2ბორდო; მონპელიე2:2 | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | 0:1 | 0:1 2:0 | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 082 | რენი0:0; 1:1ტრუა; ლორიანი5:0 **სედანი** V **ლიონი** ბორდო1:0; 0:3მონპელიე; ოსერი3:0 | 2,7 | 2,8 | 2,5 | | | | 0:2 | 1:1 2:2 | 2:0 0:2 | - |
| 19.12.01 | 23.30 | 083 | 2:3მარსელი; ნანტი1:2; 0:5სედანი **ლორიანი** V **ლილი** სოშო1:2; 2:2მონაკო; რენი1:0 | 2,7 | 2,8 | 2,5 | | | | 1:3 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 084 | 2:0მეცი; მარსელი0:0; 2:1ნანტი **პსჟ** V **ოსერი** მონაკო2:0; 2:1სოშო; 0:3ლიონი | 2,0 | 2,7 | 4,0 | | | | 1:1 | 0:1 3:0 | 1:1 0:1 | 2:0 1:0 |
| 19.12.01 | 23.30 | 085 | 2:1ნანტი; ლიონი3:0; 2:2გენგამი **მონპელიე** V **მონაკო** 0:2ოსერი; ლილი2:2; 0:1მეცი | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | 0:0 | - | 2:3 0:1 | 0:2 2:3 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რასინგ ლანსი (14) | | 2:0 | 1:1 | 1:1 | 26.01 | 0:0 | 3:0 | 06.04 | 2:0 | 2:0 | 27.04 | 06.03 | 7:0 | 02.02 | 05.01 | 1:0 | 16.02 | : | 17 | 10 | 5 | 2 | 30:13 | 35 | 6 | 3 | 0 | 19:2 | 21 | 4 | 2 | 2 | 11:11 | 14 |
| 2 | ოლიმპიკ ლიონი (2) | 04.05 | | 3:0 | 4:2 | 16.02 | 1:0 | 1:1 | 12.01 | 13.04 | 26.01 | 3:0 | 4:0 | 22.12 | 06.03 | 02.02 | 2:0 | 23.03 | 4:1 | 17 | 10 | 3 | 4 | 32:16 | 33 | 7 | 1 | 0 | 22:4 | 22 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 11 |
| 3 | ქენესი ოსერი (13) | 06.02 | 06.04 | | 2:1 | 1:1 | 12.01 | 13.04 | 1:3 | 1:0 | 2:0 | 2:2 | 04.05 | 30.01 | 2:0 | 16.03 | 2:1 | 22.12 | 23.02 | 17 | 9 | 5 | 3 | 26:18 | 32 | 5 | 2 | 1 | 13:8 | 17 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| 4 | ოლიმპიკ სპორტინგ მეტროპოლი ლილი (3) | 12.01 | 16.03 | 23.03 | | 04.05 | 22.12 | 1:2 | 30.01 | 2:1 | 23.02 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 13.04 | 2:0 | 06.02 | 3:1 | 1:0 | 17 | 8 | 6 | 3 | 21:15 | 30 | 7 | 0 | 1 | 13:5 | 21 | 1 | 6 | 2 | 8:10 | 9 |
| 5 | პარი სენ ჟერმენი პარიზი (9) | 2:2 | 2:2 | : | 0:0 | | 06.02 | 1:0 | 16.03 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 05.01 | 27.04 | 23.02 | 30.01 | 06.04 | 17 | 6 | 9 | 2 | 20:13 | 27 | 3 | 6 | 0 | 10:5 | 15 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| 6 | ჟირონდა ბორდო (4) | 16.03 | 27.04 | 1:1 | 0:0 | 1:0 | | 26.01 | 2:3 | 16.02 | : | 2:0 | 05.01 | 06.04 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 02.02 | 2:0 | 17 | 7 | 6 | 4 | 15:10 | 27 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 18 | 2 | 3 | 3 | 4:5 | 9 |
| 7 | სოშო (დ) | 30.01 | 23.02 | 1:2 | 27.04 | 22.12 | 2:0 | | 06.02 | 12.01 | 06.04 | 16.03 | 4:3 | 4:1 | 04.05 | 2:0 | 3:0 | 2:2 | 0:1 | 17 | 7 | 5 | 5 | 26:21 | 26 | 5 | 1 | 2 | 18:9 | 16 | 2 | 4 | 3 | 8:12 | 10 |
| 8 | ესპერანს სპორტივი ტრუა (7) | 1:1 | 0:2 | 16.02 | 0:1 | 1:0 | 23.03 | 2:2 | | 06.03 | 05.01 | 3:0 | 02.02 | 27.04 | 26.01 | : | 1:1 | 4:2 | 0:0 | 17 | 7 | 4 | 6 | 21:20 | 25 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 13 | 4 | 0 | 4 | 9:11 | 12 |
| 9 | მონპელიე (დ) | 23.02 | 3:0 | 26.01 | 05.01 | 02.02 | 0:0 | 0:0 | 2:0 | | 1:1 | 06.04 | 0:0 | 2:1 | : | 3:0 | 16.03 | 1:3 | 27.04 | 17 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 22 | 4 | 4 | 1 | 12:5 | 16 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| 10 | ოლიმპიკ მარსელი (15) | 22.12 | 0:0 | 06.03 | 0:0 | 13.04 | 0:0 | 4:2 | 0:1 | 04.05 | | 06.02 | 2:1 | 12.01 | 23.03 | 16.02 | 30.01 | 3:2 | 2:0 | 17 | 5 | 7 | 5 | 16:15 | 22 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 | 1 | 4 | 4 | 5:9 | 7 |
| 11 | ან ავან გენგამი (10) | 1:0 | 05.01 | 02.02 | 26.01 | 23.03 | 13.04 | 0:0 | 04.05 | 2:2 | 1:0 | | 16.02 | 1:0 | 2:1 | 0:2 | 22.12 | 06.03 | 1:0 | 17 | 5 | 5 | 7 | 15:26 | 20 | 5 | 2 | 1 | 8:5 | 17 | 0 | 3 | 6 | 7:21 | 3 |
| 12 | სტად რენი (6) | 1:2 | 06.02 | 0:5 | 06.04 | 12.01 | 1:0 | : | 0:1 | 30.01 | 16.03 | 2:1 | | 23.02 | 3:0 | 0:0 | 27.04 | 1:1 | 2:0 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:25 | 19 | 4 | 2 | 3 | 10:10 | 14 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| 13 | სპორტინგ ბასტია (8) | 13.04 | 1:2 | 0:1 | 02.02 | 06.03 | 1:2 | 16.02 | 2:0 | 23.03 | 1:0 | : | 1:2 | | 1:0 | 26.01 | 1:1 | 3:1 | 05.01 | 17 | 6 | 1 | 10 | 17:27 | 19 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 13 | 2 | 0 | 6 | 6:18 | 6 |
| 14 | მონაკო (11) | 3:0 | 2:1 | 27.04 | 2:2 | 2:2 | 30.01 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 23.02 | 22.12 | 06.02 | | 06.04 | 2:0 | 12.01 | 16.03 | 17 | 4 | 5 | 8 | 16:20 | 17 | 4 | 4 | 1 | 14:7 | 16 | 0 | 1 | 7 | 2:13 | 1 |
| 15 | მეცი (12) | 0:1 | 2:0 | 2:0 | 06.03 | 0:2 | 23.02 | 23.03 | 2:1 | 22.12 | 0:2 | 30.01 | 13.04 | 0:1 | 1:0 | | 12.01 | 04.05 | 06.02 | 17 | 5 | 2 | 10 | 9:18 | 17 | 4 | 0 | 4 | 7:7 | 12 | 1 | 2 | 6 | 2:11 | 5 |
| 16 | სედანი არდენი (5) | 23.03 | : | 05.01 | 1:1 | 1:2 | 06.03 | 02.02 | 13.04 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 04.05 | 16.02 | 2:0 | | 5:0 | 26.01 | 17 | 3 | 7 | 7 | 18:20 | 16 | 3 | 4 | 1 | 13:5 | 13 | 0 | 3 | 6 | 5:15 | 3 |
| 17 | ლორიანი (დ) | 2:3 | 0:3 | 0:1 | : | 1:1 | 0:2 | 05.01 | 23.02 | 06.02 | 27.04 | 6:2 | 26.01 | 16.03 | 2:0 | 1:0 | 06.04 | | 1:2 | 17 | 4 | 3 | 10 | 25:36 | 15 | 3 | 1 | 5 | 13:14 | 10 | 1 | 2 | 5 | 12:22 | 5 |
| 18 | ნანტი (1) | 1:2 | 30.01 | 2:2 | 16.02 | 1:2 | 04.05 | 06.03 | 22.12 | 1:2 | 02.02 | 12.01 | 23.03 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 13.04 | | 17 | 3 | 4 | 10 | 13:25 | 13 | 1 | 3 | 4 | 9:12 | 6 | 2 | 1 | 6 | 4:13 | 7 |

## საფრანგეთი. მეორე დივიზიონი. 2001-02. XX ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.12.01 | 21.00 | 095 | 1:0ისტრი; 3:3მარტიგი; ლე ავრი0:1 **ნიცა** V **სტრასბური** მარტიგი1:0; 0:0გენიონი; ამიენი1:0 | 2,4 | 2,8 | 2,9 | | | | 0:3 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 096 | 1:1ნიორი; სტრასბური0:0; 1:0ლავალი **გენიონი** V **ბოვე** აიაჩო0:0; 2:3ვასკეალი; კრეტეი2:0 | 2,5 | 2,6 | 2,9 | | | | 1:0 | 0:0 2:0 | - | 1:1 1:0 |
| 19.12.01 | 23.30 | 097 | 1:0ნანსი; ბოვე3:2; 3:2ნიმი **ვასკეალი** V **კაენი** ლე მანი2:0; 2:4კრეტეი; სენტ ეტიენი2:4 | 2,5 | 2,6 | 2,9 | | | | 0:1 | 3:3 2:1 | 0:0 0:0 | 0:0 0:2 |
| 19.12.01 | 23.30 | 098 | 0:0ბოვე; ნიმი3:1; 0:0ნიორი **აიაჩო** V **შატორუ** სენტ ეტიენი4:0; 0:1ლე მანი; გრენობლი0:0 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | 2:0 | 0:2 2:2 | 0:1 1:0 | 1:0 1:0 |
| 19.12.01 | 23.30 | 099 | 0:4შატორუ; ნანსი1:3; 4:2კაენი **სენტ ეტიენი** V **კრეტეი** გრენობლი1:1; კაენი4:2; 0:2ბოვე | 1,65 | 3,1 | 5,3 | | | | 1:1 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 100 | 0:2კაენი; შატორუ1:0; 1:0ნანსი **ლე მანი** V **გრენობლი** 1:1კრეტეი; ლავალი3:0; 0:0შატორუ | 1,75 | 2,9 | 4,7 | | | | 1:1 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 101 | ნიცა0:1; 0:2ლე ავრი; მარტიგი0:0 **ისტრი** V **ლავალი** ლე ავრი1:1; 0:3გრენობლი; გენიონი0:1 | 2,5 | 2,9 | [illegible] | | | | 0:2 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 102 | 1:0ნიმი; ნიორი0:2; 0:1სტრასბური **ამიენი** V **ნანსი** ვასკეალი0:1; 3:1სენტ ეტიენი; ლე მანი0:1 | 2,2 | 2,7 | 3,4 | | | | 1:1 | - | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 103 | 0:1სტრასბური; ნიცა3:3; 0:0ისტრი **მარტიგი** V **ნიმი** ამიენი0:1; 1:3აიაჩო; ვასკეალი2:3 | 2,0 | 2,8 | 3,8 | | | | 0:0 | 0:2 1:0 | - | - |
| 19.12.01 | 23.30 | 104 | 1:1ლავალი; ისტრი2:0; 1:0ნიცა **ლე ავრი** V **ნიორი** გენიონი1:1; 2:0ამიენი; აიაჩო0:0 | 1,6 | 3,1 | 6,0 | | | | 2:2 | 1:1 2:2 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რასინგი სტრასბური (დ) | | | | | 3:1 | 1:0 | 3:0 | 2:2 | | 2:0 | 4:1 | 2:0 | 1:0 | | | | | | 1:0 | 1:0 | 19 | 11 | 6 | 2 | 28:10 | 39 | 9 | 1 | 0 | 20:4 | 28 | 2 | 5 | 2 | 8:6 | 11 |
| 2 | აიაჩო (12) | 2:1 | | | 3:0 | 1:1 | | | 4:2 | 1:1 | : | | 1:0 | 2:0 | | | | 1:1 | | 3:1 | | 19 | 10 | 6 | 3 | 27:14 | 36 | 6 | 3 | 0 | 18:7 | 21 | 4 | 3 | 3 | 9:7 | 15 |
| 3 | ბოვე ოა (11) | 1:0 | 0:0 | | | 1:1 | | 1:0 | | 0:1 | | 2:0 | | | 3:0 | | 1:0 | | 2:0 | 1:3 | | 19 | 9 | 7 | 3 | 23:12 | 34 | 6 | 2 | 2 | 12:5 | 20 | 3 | 5 | 1 | 11:7 | 14 |
| 4 | ლე ავრი (7) | 1:1 | | 0:0 | | | 2:1 | | 0:0 | | | | 3:0 | 1:0 | | : | 4:0 | 2:0 | | | 5:0 | 19 | 8 | 9 | 2 | 26:13 | 33 | 6 | 3 | 0 | 18:2 | 21 | 2 | 6 | 2 | 8:11 | 12 |
| 5 | კაენი (17) | | | | 0:0 | | 2:4 | 1:0 | 1:0 | | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 2:4 | 2:1 | | | | | 1:0 | 19 | 8 | 6 | 5 | 29:27 | 30 | 6 | 2 | 2 | 13:10 | 20 | 2 | 4 | 3 | 16:17 | 10 |
| 6 | ამიენი (დ) | | 1:1 | 0:1 | | | | 2:0 | : | | | 1:1 | | | 2:1 | 0:2 | 3:0 | | 2:1 | | 4:0 | 19 | 8 | 5 | 6 | 26:19 | 29 | 5 | 2 | 2 | 15:7 | 17 | 3 | 3 | 4 | 11:12 | 12 |
| 7 | ნიცა (15) | : | 3:1 | | 0:1 | | | | | 3:0 | 1:2 | 2:1 | | | 1:1 | 3:1 | 4:1 | | | 2:0 | | 19 | 8 | 3 | 8 | 26:21 | 27 | 6 | 1 | 2 | 19:8 | 19 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |
| 8 | ნანსი ლორანი (5) | | | 2:2 | | | 1:1 | 1:0 | | 0:1 | 2:0 | 2:1 | 0:1 | 0:1 | | 2:0 | 1:0 | | | | | 19 | 7 | 6 | 6 | 23:19 | 27 | 5 | 2 | 3 | 11:7 | 17 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| 9 | გენიონი (10) | 0:0 | | : | 1:1 | 2:2 | 2:1 | | | | 2:0 | | 1:1 | 1:2 | | | | 1:1 | | 4:3 | | 19 | 6 | 9 | 4 | 21:22 | 27 | 3 | 5 | 1 | 14:11 | 14 | 3 | 4 | 3 | 7:11 | 13 |
| 10 | შატორუ (6) | | 0:2 | 0:0 | 4:2 | | 2:0 | | | | | | | | 4:0 | | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 2:3 | 19 | 7 | 5 | 7 | 22:20 | 26 | 4 | 4 | 2 | 14:8 | 16 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| 11 | სტად ლავალი (9) | | 2:1 | | 1:1 | 0:1 | | | | 0:1 | 2:1 | | | | 1:1 | 1:3 | | 2:0 | 2:1 | 1:0 | | 19 | 7 | 4 | 8 | 21:24 | 25 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 | 2 | 2 | 5 | 9:14 | 8 |
| 12 | ლე მანი (14) | | | 2:2 | | | 1:1 | 1:0 | | | 1:0 | 0:3 | | 2:2 | | 3:1 | : | | 0:1 | | 1:0 | 19 | 6 | 6 | 7 | 17:23 | 24 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 15 | 2 | 3 | 5 | 6:13 | 9 |
| 13 | ვასკეალი (13) | | | 3:2 | | : | 0:0 | 1:1 | | | 0:2 | 0:2 | | | 1:1 | 2:3 | | | 2:1 | | 2:1 | 19 | 6 | 4 | 9 | 21:27 | 22 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 | 3 | 1 | 6 | 10:14 | 10 |
| 14 | სენტ ეტიენი (დ) | 1:1 | 1:0 | | 0:1 | | | | 1:3 | 1:1 | | | 2:2 | | | | | 1:2 | : | 1:0 | 1:0 | 19 | 5 | 7 | 7 | 20:26 | 22 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 | 2 | 4 | 4 | 11:16 | 10 |
| 15 | შამუა ნიორი (4) | 1:1 | 0:0 | 0:0 | 2:2 | | | | | 1:1 | 1:2 | | | | 0:2 | | 0:0 | 2:0 | 1:1 | | | 19 | 4 | 9 | 6 | 20:23 | 21 | 1 | 7 | 2 | 8:9 | 10 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| 16 | გრენობლი (დ) | 0:3 | 0:1 | | | 4:3 | | | | 0:0 | | 3:0 | 1:1 | 2:1 | 1:0 | | | 0:5 | | 1:1 | | 19 | 5 | 6 | 8 | 15:29 | 21 | 4 | 3 | 3 | 12:15 | 15 | 1 | 3 | 5 | 3:14 | 6 |
| 17 | ისტრი (დ) | 0:1 | | 0:2 | | 0:3 | 1:2 | 0:1 | 1:0 | | | : | 0:1 | 2:1 | | | | | | | 0:0 | 19 | 4 | 6 | 9 | 15:22 | 18 | 2 | 1 | 6 | 4:11 | 7 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 11 |
| 18 | კრეტეი (16) | 0:0 | 0:2 | | 0:0 | 4:2 | | 0:2 | 1:3 | 3:1 | | | | | 1:1 | | 1:1 | 1:1 | | | | 19 | 3 | 7 | 9 | 18:27 | 16 | 2 | 5 | 3 | 11:13 | 11 | 1 | 2 | 6 | 7:14 | 5 |
| 19 | ოლიმპიკ ნიმი (8) | | | | 0:0 | 2:2 | 0:1 | | 2:2 | | | | 1:0 | 2:3 | | 0:0 | | 0:0 | 1:1 | | 0:0 | 19 | 2 | 9 | 8 | 16:23 | 15 | 1 | 7 | 2 | 8:9 | 10 | 1 | 2 | 6 | 8:14 | 5 |
| 20 | მარტიგი (18) | | 0:1 | 0:2 | | | | 3:3 | 0:0 | 2:0 | | 0:0 | | | | 1:1 | 0:1 | | 3:1 | : | | 19 | 3 | 6 | 10 | 13:26 | 15 | 2 | 4 | 3 | 9:9 | 10 | 1 | 2 | 7 | 4:17 | 5 |

## ბელგია. პირველი დივიზიონი. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.12.01 | 23.00 | 239 | 1:5ლომელი; გენტი0:3; 1:1აალსტი **შარლერუა** V **ბეერსხოტი** ლომელი3:0; 1:1ბევერენი; გენტი3:2 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 2:0 2:1 | 0:3 3:0 | 2:2 0:2 |
| 19.12.01 | 23.00 | 240 | 5:2გენტი; აალსტი2:0; 3:1ბრიუგე **სტანდარდი** V **ლომელი** შარლერუა5:1; 0:3ბეერსხოტი; 0:0გენტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1,8 | 3,2 | 2,8 | - | - | 4:1 1:2 | 1:0 0:3 |
| 19.12.01 | 23.00 | 242 | 4:2აალსტი; ბრიუგე2:3; 2:1ლიერსი **მოლენბეკი** V **გენტი** სტანდარდი2:5; 3:0შარლერუა; ლომელი0:0 | 3,3 | 3,4 | 1,9 | | | | - | - | - | - |
| 19.12.01 | 23.00 | 243 | 0:2ბრიუგე; ლიერსი0:2; 2:2გენკი **სენტ ტრუიდენი** V **აალსტი** მოლენბეკი2:4; 0:2სტანდარდი; შარლერუა1:1 | 1,75 | 3,3 | 4,2 | | | | - | 1:4 1:0 | 1:5 0:2 | 3:1 2:0 |
| 19.12.01 | 23.00 | 244 | 0:2გენკი; ანდერლეხტი1:2; 3:3ლუვიე **ვესტერლო** V **ლიერსი** მუსკრონი3:3; 2:0სენტ ტრუიდენი; მოლენბეკი1:2 | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | - | 1:0 2:1 | 0:2 0:7 | 1:5 0:2 |
| 19.12.01 | 23.00 | 245 | 0:0ანდერლეხტი; ლუვიე2:2; 1:1ანტვერპენი **ლოკერენი** V **გენკი** ვესტერლო2:0; 4:2მუსკრონი; სენტ ტრუიდენი2:2 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 0:0 2:2 | 1:1 1:2 | 2:0 1:3 |
| 19.12.01 | 23.00 | 246 | 3:2ბევერენი; ლოკერენი1:1; 1:2ვესტერლო **ანტვერპენი** V **ლუვიე** ბევერენი3:2; 2:2ლოკერენი; ვესტერლო3:3 | 1,65 | 3,4 | 4,4 | | | | - | 2:2 1:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრიუგე (2) | | 1:2 | | 1:3 | | 19.01 | | 2:0 | 3:1 | 3:0 | | | | | 4:2 | 03.02 | 2:1 | 6:1 | 15 | 12 | 1 | 2 | 38:16 | 37 | 6 | 0 | 2 | 22:10 | 18 | 6 | 1 | 0 | 16:6 | 19 |
| 2 | გენკი (11) | | | | 1:1 | 02.02 | | | 2:2 | 4:2 | 5:0 | | 4:2 | | | 2:0 | 19.01 | 5:1 | 5:1 | 16 | 10 | 5 | 1 | 46:21 | 35 | 6 | 2 | 0 | 28:9 | 20 | 4 | 3 | 1 | 18:12 | 15 |
| 3 | გენტი (5) | 2:2 | 0:0 | | 2:5 | | 02.02 | | 4:2 | 0:0 | | | | | 19.01 | 4:1 | | 2:1 | 2:1 | 16 | 10 | 3 | 3 | 31:21 | 33 | 4 | 3 | 1 | 16:12 | 15 | 6 | 0 | 2 | 15:9 | 18 |
| 4 | სტანდარდი ლიეჟი (3) | | | | | 1:0 | 0:2 | 3:0 | 02.02 | : | 2:0 | 12.01 | 2:1 | 2:1 | 2:1 | | 4:2 | | | 15 | 9 | 4 | 2 | 28:16 | 31 | 7 | 0 | 1 | 16:7 | 21 | 2 | 4 | 1 | 12:9 | 10 |
| 5 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | : | 3:3 | 2:0 | | | 0:0 | 25.01 | | | | 2:1 | | 2:2 | 4:2 | | 3:0 | 19.01 | | 15 | 8 | 5 | 2 | 31:17 | 29 | 4 | 3 | 0 | 16:8 | 15 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 14 |
| 6 | ლოკერენი (4) | 0:1 | : | 0:1 | | | | 3:2 | | | 26.01 | 1:0 | 12.01 | 4:0 | 2:1 | | | 2:2 | 1:0 | 16 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 28 | 5 | 1 | 2 | 13:7 | 16 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| 7 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | 1:2 | 1:1 | 3:2 | 20.01 | 1:1 | | | | 3:0 | 4:0 | | 2:0 | 02.02 | : | | : | 8:2 | | 16 | 7 | 5 | 4 | 35:23 | 26 | 6 | 2 | 1 | 25:8 | 20 | 1 | 3 | 3 | 10:15 | 6 |
| 8 | სენტ ტრუიდენი (13) | | | 12.01 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 2:2 | | 4:3 | : | 26.01 | 0:2 | | 1:2 | | 3:1 | | | 16 | 5 | 4 | 7 | 23:26 | 19 | 3 | 2 | 3 | 12:13 | 11 | 2 | 2 | 4 | 11:13 | 8 |
| 9 | ლომელი (დ) | | | | | 2:2 | 3:4 | | 19.01 | | 1:1 | 5:1 | 2:2 | 1:0 | 3:2 | 02.02 | 2:2 | | | 16 | 4 | 6 | 6 | 27:34 | 18 | 3 | 4 | 1 | 19:14 | 13 | 1 | 2 | 5 | 8:20 | 5 |
| 10 | ეენდრახტ აალსტი (16) | | | 1:3 | | 1:5 | 2:1 | | | | | 1:1 | 0:2 | 2:4 | 1:0 | 20.01 | 0:0 | | 03.02 | 16 | 5 | 3 | 8 | 17:32 | 18 | 2 | 2 | 4 | 8:16 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:16 | 10 |
| 11 | შარლერუა (9) | 0:4 | 0:3 | 0:3 | 0:0 | | | : | 0:3 | | | | | 19.01 | 03.02 | 4:2 | | 2:1 | 1:1 | 16 | 5 | 3 | 8 | 14:29 | 18 | 2 | 2 | 4 | 7:17 | 8 | 3 | 1 | 4 | 7:12 | 10 |
| 12 | ლიერსი ლიერი (10) | 0:2 | | 1:2 | | 2:0 | 1:1 | | | | | 1:2 | | 1:2 | 3:3 | | 2:1 | 03.02 | 20.01 | 16 | 4 | 5 | 7 | 21:24 | 17 | 2 | 2 | 4 | 11:13 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| 13 | მოლენბეკი ბრიუსელი (დ) | 2:3 | 2:5 | : | 27.01 | | | 2:2 | 1:2 | 12.01 | | 0:1 | | | | 0:1 | | 1:0 | 3:0 | 16 | 5 | 2 | 9 | 23:31 | 17 | 2 | 1 | 5 | 11:14 | 7 | 3 | 1 | 4 | 12:17 | 10 |
| 14 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | : | 2:4 | 0:1 | | | | 3:1 | | 27.01 | 12.01 | 0:1 | | 4:1 | | 1:2 | | 2:0 | 3:0 | 16 | 5 | 1 | 10 | 27:28 | 16 | 4 | 0 | 4 | 15:10 | 12 | 1 | 1 | 6 | 12:18 | 4 |
| 15 | ვესტერლო (8) | 12.01 | | 26.01 | : | 1:2 | 0:1 | 1:2 | 0:0 | 6:0 | 0:1 | | : | | | | 2:1 | | | 15 | 4 | 3 | 8 | 22:26 | 15 | 2 | 1 | 4 | 10:7 | 7 | 2 | 2 | 4 | 12:19 | 8 |
| 16 | ანტვერპენი (12) | 1:2 | 3:0 | 2:3 | | 13.01 | 1:1 | | | | | 2:0 | 26.01 | 1:2 | 2:1 | | | : | | 16 | 4 | 3 | 9 | 22:29 | 15 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 10 | 1 | 2 | 6 | 10:20 | 5 |
| 17 | ლა ლუვიე (15) | | 26.01 | | 3:1 | 1:3 | | 11.01 | 1:0 | 0:0 | 1:3 | | 0:0 | | | 3:3 | | | 3:2 | 16 | 3 | 4 | 9 | 20:36 | 13 | 3 | 3 | 2 | 12:12 | 12 | 0 | 1 | 7 | 8:24 | 1 |
| 18 | ბევერენი (14) | 26.01 | 12.01 | | 1:1 | : | | 1:1 | 3:2 | 0:2 | 0:4 | | 1:1 | | | 1:1 | 2:3 | | | 16 | 1 | 5 | 10 | 15:39 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:15 | 7 | 0 | 1 | 7 | 6:24 | 1 |

# გრეგორიმ ხელი გაშალა
## წინ ანხელი, უკან შმაიხელი


ხუან პაბლო ანხელმა ჯონ გრეგორის იმედი დაუბრუნა

მეორე ტაიმში მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ კარგა ხანს ვერაფერს ახერხებდნენ. თუმცა „იფსვიჩის" დაცვა მაინც შეცდა. მაკგრილი ხეირიანად ვერ გაერკვა ვითარებაში, რითაც ანხელმა იხეირა და დუბლი გაიფორმა.

აღსანიშნავია, რომ ტრავმის გამო მცირე შესვენების შემდეგ „ვილას" კარში კვლავ ჩადგა პიტერ შმაიხელი.

მატჩის შემდეგ „ვილას" მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ თქვა: „მეორე გოლის დროს ოდნავ გაგვიმართლა, თუმც ამ სეზონში რამდენიმე ისეთი შეხვედრა გვქონდა, წაგებას რომ არ ვიმსახურებდით.

ამ მოგებამ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაგვიუმჯობესა. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში თამაშია, თუმცა ამ ამოცანის შესასრულებლად ბევრი ბარიერია დასაძლევი. იფსვიჩელთა დღევანდელი თავდადება კი ნამდვილად ქებას იმსახურებს. უკვე კარგა ხანია, ამ გუნდს ასე არ უბრძოლია".

**ნიკა შუბლაძე**

### ინგლისი
**პრემიერლიგა. XVII ტური**
**ასტონ ვილა 2:1 იფსვიჩი**

0:1 ფინიდი (18), 1:1, 2:1 პაბლო ანხელი (44, 70)
ასტონ ვილა: შმაიხელი, ჯ. სამუელი, მელბერგი, სტონტონი, ა. რაიტი, ბერი, ჯ. ბოატენგი, ლ. ჰენდრი (დაბლინი 67), სტოუნი, პაბლო ანხელი (ვასელი 84), მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჟ. რაიტი, ჰოლანდი, მეჯილტონი, ფინიდი (კლაპამი 65), ა. არმსტრონგი (მ. ბენტი 80), ნეილორი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ნეილორი
მსაჯი: დინი
29 320 მაყურებელი

**კოლუმბიელმა** ხუან პაბლო ანხელმა „ასტონ ვილას" სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება ორი გოლით აღნიშნა. ამ დუბლით ბირმინგემელებმა ლიგის აუტსაიდერი „იფსვიჩი" დადეს ბეჭებზე, ცხრილში კი ქულების რაოდენობით „ჩელსის", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ტოტენჰემს" გაუტოლდნენ.

არადა, თავიდან იფსვიჩელები ჯობდნენ. რიჩარდ ნეილორმა ჯორჯ ფინიდის ჩააწოდა და მანაც ანგარიში გახსნა. გამოითვალეს, რომ მანამდე „იფსვიჩს" 332 წუთი არ გაეტანა გოლი. მერე აუტსაიდერმა მთელი ტაიმი იბრძოლა, რათა გოლი არ გაეშვა, მაგრამ სასტვენამდე წუთით ადრე მაინც გატყდა, „ვილამ" გაათანაბრა და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 16 | 10 | 3 | 3 | 25:15 | 33 |
| არსენალი | 16 | 8 | 6 | 2 | 34:18 | 30 |
| ნიუკასლი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:19 | 30 |
| ლიდსი | 16 | 7 | 8 | 1 | 20:11 | 29 |
| ჩელსი | 17 | 6 | 9 | 2 | 23:12 | 27 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 37:27 | 27 |
| ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 29:23 | 27 |
| ასტონ ვილა | 17 | 7 | 6 | 4 | 23:19 | 27 |
| ევერტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21:19 | 23 |
| ფულემი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:17 | 23 |
| ჩარლტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 21:20 | 22 |
| ბოლტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:21 | 21 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 13:17 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:29 | 20 |
| ბლექბერნი | 17 | 4 | 7 | 6 | 23:21 | 19 |
| მიდლსბრო | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | 19 |
| საუთჰემპტონი | 16 | 5 | 1 | 10 | 17:24 | 16 |
| ლესტერი | 17 | 3 | 5 | 9 | 11:31 | 14 |
| დერბი ქაუნთი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:30 | 13 |
| იფსვიჩი | 17 | 1 | 6 | 10 | 15:27 | 9 |

# სანამ თქვენ გძინავთ...
## უნებისყოფო სებასტიან კელმა ორი მილიონი დააბრუნა


სებასტიან კელს ული ჰოენესის რისხვა გულთან ახლოს არ მიაქვს

**მიუნხენის** „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰოენესი ახალგაზრდა ტალანტებზე ნადირობას აგრძელებს. ბერლინის „ჰერტადან" სებასტიან დაისლერის გადაბირების ამბავი ხომ წარმატებით მოაკვარახჭინა, ახლა მიზანში მეორე სებასტიანი, ოღონდ გვარად კელი ამოიღო და მისი ტრანსფერის გახერხებას ლამობს.

სებასტიან კელი 21 წლისაა და „ფრაიბურგის" ლიბეროა. მას ფრანც ბეკენბაუერს ადარებენ და ბუნდესნაკრებში სამჯერაც უთამაშია. გერმანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, კელს ჩინებულად შეუძლია დაცვიდან ბურთის ამოტანა და საუკეთესო გაგრძელების პოვნაო. მის არყოფნაში „ფრაიბურგმა" ოთხი შეხვედრა წააგო, რაც თავისთავად მიანიშნებს, თუ რა დიდი ძალაა ეს ფეხბურთელი გუნდისთვის. ფრაიბურგელებმა კელი 2000 წელს „ჰანოვერიდან" 93 ათასი დოლარად გადაიყვანეს.

ული ჰოენესს საქმე თითქმის მოგვარებული ჰქონდა და ქვეყანასაც ამცნო, 2003 წლიდან სებასტიან კელი „ბაიერნის" მაისურას მოირგებსო, მაგრამ...

„ბაიერნის" მენეჯერი კი იძახდა, ასე და ისეო, მაგრამ თავად ფეხბურთელს გაზეთ „ბილდთან" ინტერვიუში უთქვამს, ჯერ მიუნხენში გადასვლასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღიაო. იგივე გერმანული გაზეთი, ამტკიცებს, ბაიერნელებმა ფეხბურთელს ორი მილიონი მარკის ჩეკი გაუგზავნეს, რომელიც კელმა თავაზიანად უკან დააბრუნაო. ეს რომ მართლაც ასე ყოფილა, ქვემოთ გამოჩნდება.

ცნობისთვის: ფრაიბურგელი ბიჭის გადაბირება დორტმუნდის „ბორუსიასაც" ნდომებია და კელის უარიც ეგებ იმას ნიშნავდეს, რომ იგი დორტმუნდისკენ იყურება.

ული ჰოენესმა თითქმის გახერხებული საქმის ასე შემობრუნება შეიტყო თუ არა, გაცოფდა და ტელეინტერვიუში განაცხადა, თავს მოტყუებულად ვგრძნობო: „ასეთ უპირო ხალხთან ურთიერთობამ, არა მგონია, ვინმეს სიამოვნება მიანიჭოს და მათთან საქმის დაჭერა ისურვოს. სებასტიან კელს და მისს აგენტს ვგულისხმობ. მათ ისე დააბრუნეს ქვითარი, თითქოს შეთანხმება არც გვქონია".

რაღა თქმა უნდა, ული ჰოენესმაც მშვენივრად იცის, რომ დორტმუნდელები სებასტიან კელს თავისკენ ექაჩებიან და ისე როგორ იქნება, მტრის ბანაკი არ ეხსენებინა: „როცა კელმა „ბაიერნში" გადმოსვლაზე თანხმობა გვითხრა, მაშინ დორტმუნდელები ღრმა ძილში იყვნენ, ახლა კი კელს ბლომად ფულს აყრიან, რათა გადაიბირონ. ფულის გამო გადაწყვეტილების შეცვლა კი მხოლოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს სჩვევიათ".

„ბაიერნს" კი ახალი სისხლი ნამდვილად სჭირდება, რადგან ოტმარ ჰიცფელდის გუნდის კრიზისი უკვე აშკარაა. ძირძველმა ბავარიელმა ლოთარ მათეუსმა თავისი აზრი გამოთქვა და ყველაფერში შტეფან ეფენბერგი დაადანაშაულა. ეფე მაღალ დონეზე ვეღარ თამაშობს და თანაგუნდელებსაც აბნევსო — ბრძანა მათეუსმა — ამიტომ, რაც უფრო მალე გაყიდიან, მით უკეთესიო.

**გაგა ხუციშვილი**

**ფეხბურთის რ...**



**იტალიურმა** „უდინეზემ" დანიური „კოპენჰაგენის" ნახევარმცველი თომას ტორნინგერი გადაიბირა. 29 წლის ფეხბურთელი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა, „უდინეზეში" იანვრიდან ითამაშებს. ტორნინგერი ადრე „პსვ ეინდჰოვენში" და „პერუჯაში" თამაშობდა. იგი უდინური კლუბის ახალი მწვრთნელის ჯამპიერო ვენტურას პირველი შენაძენია. „სერია A-ს კარგად ვიცნობ, ადრე „პერუჯაში" ვთამაშობდი. ის ძალიან ძლიერი ლიგაა. „უდინეზეში" დებიუტს მოუთმენლად ველი" — განაცხადა ტორნინგერმა, რომელსაც ახალ კლუბში სამ თანამემამულესთან ერთად მოუწევს თამაში.

**გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „კოტბუსმა" „ვოლფსბურგის" თავდამსხმელი მარკუს ფელდჰოფი შეიძინა. 27 წლის ფეხბურთელმა კარიერა „ლევერკუზენში" დაიწყო და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა მისი ნიჭი სადღაც ჩაიკარგა. აგერ „ვოლფსბურგში" წლეულს მხოლოდ ორჯერ ითამაშა. ფელდჰოფმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „კოტბუსის" მწვრთნელმა ედუარდ გაიერმა განაცხადა, დიდი იმედი მაქვს, რომ მარკუსი თავის ნიჭს სწორედ ჩვენს გუნდში გამოავლენსო.**

**დანიის** წლის საუკეთესო მოთამაშედ ებე სანდი დაასახელეს. „შალკეს" თავდამსხმელმა, რომელმაც შარშან ბუნდესლიგაში 22 გოლი გაიტანა, გამოკითხვაში 425 შესაძლებლიდან 333 ხმა დააგროვა. მეორე ადგილზე ჩარლტონელი კლაუს იენსენი გავიდა, ხოლო მესამეზე ევერტონელი თომას გრავესენი. გამარჯვებულმა ჟურნალისტებს უთხრა: „ამ ჯილდოს მოპოვება ჩემთვის დიდი პატივია. შარშანდელი სეზონი მართლაც წარმატებული გამომივიდა და ვიმედოვნებ, კვლავაც ასე განვაგრძობ".

**იტალიური სააგენტოების ცნობით, „იუვენტუსი" „ბარსელონას" მცველ კარლეს პუიოლის შეძენითაა დაინტერესებული. ტურინელთა მწვრთნელი მარჩელო ლიპი დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებას სწორედ ესპანელის დახმარებით გეგმავს, თუმცა კატალონიური კლუბი თავისი აღზრდილის გაყიდვაზე ჯერჯერობით უარს აცხადებს. პრესა არც იმას გამორიცხავს, რომ იტალიელებმა პუიოლის სანაცვლოდ ესპანელებს რომელიმე ფეხბურთელი შესთავაზონ და თან თანხაც დაუმატონ.**

**პარაგვაის** ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან ახლახან გათავისუფლებულ სერხიო მარქარიანს ბერძნული „პანათინაიკოსი" ჩააბარეს. კონტრაქტის პირობით, 57 წლის სპეციალისტი წელიწადნახევარში 1,4 მილიონ დოლარს მიიღებს. მარქარიანმა „პანათინაიკოსში" იანის კირასტასი შეცვალა, ამ უკანასკნელს პაოკ-თან 1:2 მარცხი არ აპატიეს. მარქარიანს საბერძნეთში მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს. 1998-99 წლების სეზონში ის „იონიკოსს" წვრთნიდა.

**ფრანგმა ნახევარმცველმა რობერ პირესმა პრემიერლიგის ბოლო ტურში „ვესტ ჰემის" წინააღმდეგ ტრავმა მიიღო და ექიმების ვარაუდით, ლონდონის „არსენალს" სამი კვირით დააკლდება. ამ პერიოდში „მეთოფეებს" „ნიუკასლის", „ლივერპულის" და „ჩელსის" წინააღმდეგ ელით პრემიერლიგის კალენდარული მატჩები. „სამწუხაროა, რობერი ძალიან პრინციპულ თამაშებს გამოტოვებს. იმედს გამოვთქვამ, რომ სამი კვირის შემდეგ დაგვიბრუნდება და ჩვეულ ფორმაშიც მალე ჩადგება" — განაცხადა ლონდონელთა თავკაცმა არსენ ვენგერმა.**

**გერმანული** „ჰერტას" ხელმძღვანელობამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მთავარი მწვრთნელი იურგენ რიობერი უმუშევარი დატოვა. ახალი მწვრთნელის ვინაობა ამ კვირაში გახდება ცნობილი, ბერლინური კლუბის მენეჯერმა დიტერ ჰოენესმა განაცხადა, რომ „ჰერტას" კომპეტენტური სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში. მართალია, ჰოენესს კანდიდატურის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ „ჰერტას" აუცილებლად ჰოლანდიელი გაწვრთნის, ჟურნალმა „კიკერმა" სამი სავარაუდო კანდიდატიც დაასახელა. „კიკერის" აზრით, „ჰერტას" გაწვრთნას „პსვ ეინდჰოვენის" ამჟამინდელ თავკაც ერიკ გერეტსს, „ვალვაიკის" მარტინ იოლის ან ვიმ იანსენს შესთავაზებენ.

**იტალიური „ლაციოს" ჰოლანდიელ მცველ იაპ სტამს ათთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. 13 ოქტომბერს, „ატალანტასთან" მატჩის შემდეგ, სტამს სისხლში ნანდროლინის კვალი აღმოუჩინეს. მანამდე აკრძალული პრეპარატის მოხმარებაში სტამის ორი თანამემამულე — „იუვენტუსის" ნახევარმცველი ედგარ დავიდსი და „ბარსელონას" მცველი ფრანკ დე ბური ამხილეს.**

**გერმანული** „ჰამბურგის" არგენტინელმა ნახევარმცველმა რუდოლფო კარდოზომ მუხლის ტრავმა მოირჩინა და ცხრათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანს უბრუნდება. „ჰამბურგის" ხელმძღვანელობა 33 წლის პლეიმეიკერზე დიდ იმედებს ამყარებს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ არგენტინელის დახმარებით კლუბი თავს დააღწევს კრიზისს. „კარდოზოს გონივრული თამაში გუნდს ძალიან წაადგება" — თვლის „ჰამბურგის" მეკარე მარტინ პიკენჰაკენი. არ არის გამორიცხული, კარდოზოს მალე ორი თანამემამულე, რომეო და დიეგო ფურლანი შეუერთდნენ.

**ებრაული ჰაიფას „ჰაპოელის" პრეზიდენტმა ხაიფი რუბი შაპირამ თავი მოიკლა. პრეზიდენტმა სიცოცხლე ლაგოსში, პისტოლეტიდან გასროლით დაასრულა. თვითმკვლელობის მიზეზად შაპირას მძიმე ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ. ერთ-ერთმა ბანკმა მას უარი უთხრა კრედიტის გაცემაზე, რომლითაც იგი ფეხბურთელებს პრემიების და ხელფასების დავალიანების დაფარვას აპირებდა. ამასთან წარუმატებელი ბიზნესმენის მცდელობა, ლაგოსში ახალი მაღაზიების ქსელი გაეხსნა, კრახით დასრულდა.**

**შოტლანდიური** „გლაზგო რეინჯერსის" კაპიტანი ბარი ფერგიუსონი ახალი კლუბის ძიებაშია. 23 წლის ფეხბურთელმა კლუბზე მას შემდეგ აიცრუა გული, რაც დასავლეთ შოტლანდიის სექტისგან აშკარა აგრესია იგრძნო. სექტანტები ადრეც აწუხებდნენ ფერგიუსონს, მოთმინების ფიალა კი მაშინ აევსო, როდესაც ხსენებული სექტის წევრებმა მას და მის ორი წლის ვაჟიშვილს პარკში სეირნობისას შეურაცხყოფა მიაყენეს. ფერგიუსონის შეძენით „ლიდსი" დაინტერესდა, თუმც „რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიურეიმ ინგლისური კლუბის წინადადება უარყო. თავად ფერგიუსონს კარიერის გაგრძელება სწორედ პრემიერლიგაში სურს.

**ინგლისური „ასტონ ვილას" მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, რომ კლუბი მზადაა, კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივოს კონტრაქტი პიტერ შმაიხელს. ეს სავარაუდოდ სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დანიელი მეკარე სასურველ ფორმას მომავალ წელსაც შეინარჩუნებს. შმაიხელი წლევანდელი სეზონში მშვენივრად ირჯება, რამაც „ასტონ ვილას" ხელმძღვანელობას მასთან კიდევ ერთი წლით თანამშრომლობისკენ უბიძგა.**

**კოლუმბიელი** მეკარე ოსკარ კორდობა შესაძლოა „არსენალში" აღმოჩნდეს. „ბოკა ხუნიორსმა" 31 წლის კორდობა 3,5 მილიონ გირვანქად შეაფასა. ლონდონელი „მეთოფეები" მზად არიან, არგენტინელებს ხსენებული თანხა გადაუხადონ. ჯერი ახლა კოლუმბიელზეა, თუ კორდობა „არსენალის" პირობებს დათანხმდება და სამუშაო ვიზასაც მიიღებს, მისი დებიუტი „ჰაიბერიზე" შესაძლოა მომავალ კვირაშივე შედგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიოლნი — ბენეში — პატარკაციშვილი

## რევაზ არველაძემ სახელი ისესხა

**„დინამოს“** ყოფილი პრეზიდენტი რევაზ არველაძე სწავლას და ბიზნესს რომ უნდა შეუდგეს, ადრეც გაუწყეთ. გერმანიიდან დაბრუნებულს კი მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— კიოლნში პირადად შევხვდი ერიხ როტემიულერს. ის გერმანულ საფეხბურთო სამყაროში ძალიან ცნობილი პიროვნებაა, ნაკრებების მწვრთნელთა საბჭოს წევრია და კიოლნის საფეხბურთო სკოლაშიც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა უკავია. სწორედ ის შემპირდა, კიოლნის სკოლაში მისაღებ კონტინგენტში ერთ ადგილს დაგიჯავშნიო. სწავლა კიოლნში ზაფხულიდან იწყება და მანამდე დამატებით კიდევ უნდა წარვადგინო დოკუმენტაცია. ჩემი სპორტული ბიოგრაფია მაძლევს იმის საშუალებას, რომ C და B ლიცენზიების გამოტოვებით მყისვე A დიპლომისთვის ვისწავლო, რასაც ორი თვე სჭირდება. ამის შემდეგ კი ოთხთვიანი კურსიც არის, რომელიც უმაღლესი კატეგორიის ანუ პროფლიცენზიისთვის არის განკუთვნილი.

**— მანამდე კი ერთი ლიცენზია უკვე გაქვთ — ფიფას აგენტი გახდით და ფირმაც დააფუძნეთ. თქვენ და ივან ბენეში კომპანიონები გახდით?**

— მე ჩემი ფირმა მაქვს — „ევროქონექშენ ჯორჯია“, ბენეშისას კი „ევროქონექშენს“ ჰქვია. მისგან ნახევარი სახელი კი ვისესხე, მაგრამ დამოუკიდებელი ფირმაა. თუმც ივან ბენეშთან, ცხადია, ინტენსიურად ვითანამშრომლებ, აგრეთვე ფიფას კიდევ ერთ აგენტთან, ინგლისელ კრის ოლფარელთან.

**— პირველი კლიენტი უკვე ჰყავს თქვენს ფირმას?**

— რამდენიმე ქართველ ფეხბურთელთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას და მათთან, ალბათ, მალევე გავაფორმებ ხელშეკრულებებს.

**— თბილისის „დინამოს“ თემას გვერდს ვერ ავუვლით. როგორც შევიტყვეთ, ბადრი პატარკაციშვილს ამ ცოტა ხნის წინ პირადად შეხვდით...**

— ეს იყო შეხვედრა გაცნობის მიზნით. ერთმანეთს მოსაზრებები გავუზიარეთ, რჩევებიც. შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ის აზრი, რაც ამ პიროვნებაზე მქონდა, კიდევ უფრო გამიღრმავდა — ბადრი პატარკაციშვილს მართლა შეუძლია „დინამოს“ აღორძინება და მის ამ ინიციატივას მივესალმები, რადგან ქართული ფეხბურთის აღორძინება თბილისის „დინამოთი“ უნდა დაიწყოს.

**დავით თავართქილაძე**

# ბენდელა 2001




## ოქროს კუ კუს ტბიდან

... საკუთარი სიცოცხლის ფასად თანამებრძოლები სიკვდილისგან იხსნა. გმირულად დაიღუპა აფხაზეთში, წავიდა და თან წაიღო უდიდესი სიყვარული და სევდა.

ზაზა ბენდელიანმა იცოდა მეგობრობის ფასი, ალალ-მართალი კაცი იყო და სწორედ ეს დაედო საფუძვლად მისი სახელობის ტურნირს, რომელიც წლეულს მეათედ ჩატარდება. 23-28 დეკემბერს სპორტის სასახლეში იქნება ფეხბურთის სიყვარული, ვნებათაღელვა და დაძაბული ბრძოლები. კიდევ ერთი გუნდის სახელი ამოიტვიფრება ბენდელას თასზე.

... გუშინ კუს ტბაზე „უიკენდ კლუბში“ ბენდელას თასის მეათე საიუბილეო გათამაშების წილისყრა მოეწყო. სასიამოვნო, კეთილმოწყობილ გარემოში ტურნირის ორგანიზატორებთან ერთად 16 საბავშვო და მთავარი პრიზისთვის მებრძოლი 12 გუნდის წარმომადგენელი შეიკრიბა. მონაწილეები ჯგუფებში განაწილდნენ, გათამაშების განრიგს გაეცნენ და აღრეული ცხრა ტურნირიდანაც ბევრი რამ გაიხსენეს.

წლეულს შეჯიბრი პირველად ჩაივლის „ბენდელა-მორკინალის“ გარეშე. ზაზას უახლოესი მეგობრებისგან დაკომპლექტებული გუნდი სამჯერ იყო თასის მფლობელი და ოთხჯერაც ფინალისტი. „ბენდელა-მორკინალმა“ გადაწყვიტა, ბურთი და მოედანი ახალგაზრდებს დაუთმოს, თავად კი ტურნირზე გამოსათხოვარ მატჩს მაინც ითამაშებს.

1993 წელს „ბენდელას თასს“ სამეგობროსა და სპორტულ ჟურნალისტთა ნაკრების პაექრობით დაედო სათავე. წლეულსაც, საიუბილეო გათამაშებისას, ისინი დადგებიან ერთმანეთის პირისპირ.

სანამ ჯგუფებში განაწილებულ გუნდებს გაგაცნობდეთ, მანამ ტურნირის ორგანიზატორებზე მოგახსენებთ. გენერალური სპონსორობა „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ და მასთან არსებულმა კომპანია „მობილ 1“-მა ითავა. თბილისის მერიამ თამაშების სპორტის სასახლეში ჩატარება უზრუნველყო. ეროვნული ზარაფხანის ხელმძღვანელებმა ტურნირისთვის საგანგებოდ მოოქროვილი სამახსოვრო მედლები დაამზადეს, რომელთა 15 კომპლექტი ბავშვთა ტურნირში თავგამოჩენილებს გადაეცემა, დანარჩენი კი თასისთვის მებრძოლთა შორის საუკეთესოებს. კუს ტბის კომპლექსის მფლობელმა ბესიკ ხარზიანმა „ბენდელას თასის“ საუკეთესო მოთამაშისთვის განსაკუთრებული და გამორჩეული პრიზი დააწესა. მჯობნის მჯობნი მარმარილოზე მოთავსებულ კუს ოქროს ქანდაკებას მიიღებს. ამათ გარდა სამახსოვრო სხვა საჩუქრებიც დარიგდება.

„ბენდელას“ თასის საზეიმო გახსნის ცერემონიალი 23 დეკემბერს საღამოს 7 საათზე დაიწყება. ამის შემდეგ კი ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი „ნაძალადევი“ ლევან ყიფიანის გაწვრთნილ გუნდს დაუპირებს წაქცევას.

ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება კია, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ დაპირისპირება მაინც გრძელდება. ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი წილისყრამ ერთ ჯგუფში მოახვედრა. თუ ჯგუფიდან გაალწიეს, იქნებ ფინალიც მათ დუელად იქცეს, არადა, ერთი „ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ მაინც გველის. მაშ ასე, 23 დეკემბრიდან ბენდელა სპორტის სასახლეში გეპატიჟებათ, რა თქმა უნდა, ფეხბურთის და მეგობრობის ზეიმზე.

**გამუჭა ქვანტალიანი**

**A ჯგუფი**
თბილისი
ლეგიონერები
დინამო (თბილისი)
კლუბების ნაკრები

**B ჯგუფი**
ნაძალადევი
ცხუმ-აფხაზეთის ნაკრები
საბურთალო
ბაასი-ლიდერი

**C ჯგუფი**
ტორპედო
ლოკომოტივი
TBC
ზოოვეტი

### ბავშვთა ტურნირი

**A ჯგუფი**
შევარდენი
ირაო 1
მემორიალი (ქუთაისი)
ბათუმი

**B ჯგუფი**
ნორჩი დინამოელი (ქუთაისი)
მთვარის გლობუსი
თბილისი 2000
დინამო (ბათუმი)

**C ჯგუფი**
საბურთალო 1
კოლხეთი (ფოთი)
ირაო 2
ოლიმპიკი

**D ჯგუფი**
საბურთალო 2
ვაკე 91
დინამო 2
დინამო 1



ფრაიბურგელი ქართველები ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგას 26 იანვრამდე დაეთხოვებიან

# შოთა აგროვებს, რეინჯერსი კარგავს

**„ფრაიბურგს“** ბუნდესლიგაში ხუთი ტურია აღარ გაუმარჯვია. ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა 3 ნოემბერს „კოტბუსს“ მოუგეს, მას შემდეგ კი სამი თამაში წააგეს და ორი ფრედ დაამთავრეს. წინა შაბათსაც სტუმრად „ჰამბურგს“ მშვიდობიანად გაეყარნენ. შეხვედრა მაინცდამაინც საამო საცქერი ვერ გამოდგა. ერთადერთი ნათელი წერტილი მასპინძელი როი პრეგერის მაკრატელათი გატანილი ულამაზესი გოლი გახლდათ. სტუმრებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს, კობიაშვილის პასით შტეფან მიულერმა გაიტანა.

სამივე ქართველმა [illegible] ითამაშეს, მხოლოდ იაშვილი შეცვალეს ბოლოსკენ. საინტერესოა, რომ ლევან ცქიტიშვილმა („კიკერისგან“ 4,5 ქულა მიიღო), ისევე, როგორც ბოლო დროს საქართველოს ნაკრებში, მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქცია შეასრულა, ლევან კობიაშვილი (4) მარცხენა შუახაზელად გაამწესეს, ხოლო ალექსანდრე იაშვილი (3,5) თავდასხმაში ფრანგ აბდერ რამდანეს შეუწყვილეს. „იაშკა“ ჩვეულებრივ დაგეშილი იყო მოწინააღმდეგის კარზე, ბევრსაც მოძრაობდა, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა.

„ჰამბურგთან“ მატჩით ფრაიბურგელებმა ჩემპიონატის პირველი წრე მეთორმეტე ადგილზე დაამთავრეს. გუშინ კი ბუნდესლიგაში მეორე წრის პირველი ტურის გადადებული მატჩები გაიმართა. ფოლკერ ფინკეს გუნდი ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ ბოლო დროს ჩინებულად მოთამაშე „ვერდერს“ სტუმრობდა. ამ თამაშის ანგარიში მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, ჩვენ კი დავძენთ, რომ ხვალიდან გერმანიაში ერთთვიანი შესვენება გამოცხადდება და საზამთრო მიდი-მოდის მერე ჩემპიონატი 26 იანვარს განახლდება.

იტალიაში ზედიზედ მეორე ტურია „მილანის“ ძირითადში კახა კალაძე აღარ გამოჩენილა. თავად ფეხბურთელი ამ ამბავს მშვიდად უცქერს, თავის ოჯახურ პრობლემებს გვახსენებს და გვპირდება, მალე ძველებურად ავთამაშდებიო. ისე კი, კახა ლამის წელიწადია „მილანშია“ და ამდენი ხნით ჯერ არ დაუსვენია.

შოტლანდიაში კი შოთა არველაძეს გოლი გოლზე გააქვს. შაბათს „მოზერუელსაც“ შეუგდო, თუმცა მისმა „რეინჯერსმა“ ისევ ვერ მოიგო, ცხრილში ბოლოსწინა გუნდთან ფრედ ითამაშა და ალბათ წლეულს მეორეობას აქედანვე უნდა შეეგუოს. შოთას კი 10 პრემიერლიგურ შეხვედრაში 6 გოლი მოუგროვდა და შოტლანდიაში ყოფნის ამ მცირე დროში უკვე ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია...

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 1:1 | 83 | შეცვალეს | 17 | 3 | 12 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 15 | 2 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 1:1 | 90 | | 13 | 1 | 12 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ჰამბურგი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | კოტბუსი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ჰანოვერი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | მანჩესტერი 0:5 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 7 | 0 | 18 |
| | დერბი | ს | ევერტონი 0:1 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ლივერპული 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **ინგლისი. ლიგის თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ნიუკასლი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | სელტიკი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | სელტიკი 1:3 | 55 | ტრავმის გამო შეცვალეს | 18 | 0 | 6 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | ს | სელტიკი 1:3 | 90 | | 9 | 2 | 6 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 1:1 | 90 | | 9 | 5 | 2 |
| | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 2:2 | 86 | 1 გოლი, შეცვალეს | 10 | 6 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რომა 0:1 | 0 | სათადარიგო | 12 | 1 | 6 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | შ | ჩიტადელა 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 19 |
| ლევან მელქაძე | სიენა | შ | ჩიტადელა 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 19 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | რეალი 1:3 | 0 | | 8 | 1 | 19 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ფეიენოორდი 0:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 3 |
| **ჰოლანდია. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ვალვაიკი 2:1 დ.დ. | 90 | | 1 | 0 | |
| **ბელგია. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | აალსტი 2:0 | 90 | | 2 | 0 | |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | აალსტი 2:0 | 0 | სამუშაო ვიზის მოლოდინშია | 0 | 0 | |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ყიფიანი | მ.კირიათ გათი | შ | ჰ. ფეთახ თიკვა 1:3 | 60 | გააფრთხილეს, შეცვალეს | ? | 1 | 12 |
| გოჩა ქოქოშვილი | მ.კირიათ გათი | შ | ჰ. ფეთახ თიკვა 1:3 | 90 | | ? | 0 | 12 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ეთნიკოსი ასიასი 2:1 | 79 | შეცვალეს | 8 | 3 | 3 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | აპოელ ნიქოზია 0:3 | 0 | | 11 | 3 | 11 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | შ | აეკ ლარნაკა 1:5 | 0 | | 10 | 3 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | შ | აეკ ლარნაკა 1:5 | 84 | შეცვალეს | 10 | 0 | 14 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# სოლტ ლეიკ სიტიში ქართველების პრეზიდენტი გოგი თოფაძე იქნება

**თებერვალი** სოლტ ლეიკ სიტის XIX ზამთრის ოლიმპიური თამაშების თვეა. თეთრ ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტსმენებიც იასპარეზებენ. ბუნებრივია, რომ სეოკ-ის აღმასკომმა წლის ბოლო სხდომაზე კიდევ ერთხელ იმსჯელა ამ თამაშებში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის თაობაზე. იმავე სხდომაზე დამტკიცდა სასოლტლეიკსიტო დელეგაციის შემადგენლობა. მასში შევიდნენ: სამთომთხილამ-ურენი — სოფიკო ახმეტელი, რობერტ მახარაშვილი, ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე, ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე, მწვრთნელები გერა აბრამიშვილი, ფელიქს ქუმარიტაშვილი, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლერი ახმეტელი და თარჯიმანი ირაკლი კუბლაშვილი. ოლიმპიურ სოფელში მცხოვრები ამ დელეგაციის ხელმძღვანელად დამტკიცდა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ჯაფარიძე.

ამას გარდა, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე სოლტ ლეიკ სიტიში სეოკ-ის პრეზიდენტის რანგში მოგვევლინება. იქვე იქნებიან საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. ითქვა, რომ ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის სამივლინებო ხარჯების ნაწილი დაიფარება სოკ-ის მიზნობრივი გრანტებით.

ამას გარდა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებს გააშუქებს სამი ქართველი ჟურნალისტი, რომელთა მივლინების ხარჯები არასაბიუჯეტო თანხები იქნება.

სხდომაზე ისაუბრეს სეოკ-ის საანგარიშო სესიის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, რომელიც დღეს გაიმართება „შერატონ მეტეხი პალასში“.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ავთანდილ მუჩაიაშვილის ფოტო

გოგი თოფაძე


# იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250მ². დამხმარე ფართი 80მ² პირველ სართულზე.

# ქუთაისში



ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"




***საქართველოს ნაკრებში ბოლოს ოთხი წლის წინ დუბლინში, ირლანდიის წინააღმდეგ ითამაშა. სპეციალისტები 26 წლის მორკინალ არჩილ კობახიძეს მისი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბედ მიიჩნევენ. არადა, ნაკრების მწვრთნელები რატომღაც არ სწყალობენ. შარშანწინ არჩილ კობახიძე კრასნოიარსკის „კრასნი იარში“ გადავიდა და დღემდე ამ კლუბის ღირსებას იცავს. რუსეთის ორგზის ჩემპიონი და „კრასნი იარის“ ვიცე-კაპიტანი ახლა თბილისშია. მასთან გასაუბრება იმიტომაც გადავწყვიტეთ, რომ თბილისში ხმა დაირხა, კობახიძეს რუსეთის ნაკრებში თამაშს სთავაზობენო.***



არჩილ კობახიძის შებოჭვა ერთი კაცისთვის ძნელია

# საბედისწერო რეისი კარდიფი-ლონდონი

# ვიდრე არჩილ კობახიძე საქართველოს ნაკრების კართან იცდის, კარი მეზობლებმა გაუღეს

— რუსები მეუბნებიან, დროა უკვე, რუსეთის მოქალაქე გახდეო. განსაკუთრებით რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი აქტიურობს. ყველა საბუთს ჩვენ მოგიგვარებთ, შენ არ შეგაწუხებთ, ოღონდ აქაური პასპორტი აიღე და ჩვენს ნაკრებში ითამაშეო. ისიც მკითხეს, ბოლოს საქართველოს ნაკრების სახელით როდის გამოხვედიო. რომ ვუთხარი, ოთხი წლის წინ-მეთქი, ძალიან გაუხარდათ. თურმე, თუ სამი წლის მანძილზე ეროვნული გუნდის ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა არ მიგიღია, შეგიძლია სხვა ნაკრების ღირსება დაიცვა. ერთიც არის, რუსეთის მოქალაქე რომ გახდე, იქ მინიმუმ სამი წელი უნდა იცხოვრო. მე კი ამდენი ჯერ არ დამგროვებია. მერე მითხრეს, ფიქტიურ ქორწინებას გაგიხერხებთო, მაგრამ უარი ვუთხარი. ხომ ვიცი მაგათი ქალების ამბავი, მოაწერ ხელს და მერე არ მოგეშვებიან. ბოლოს, თბილისიდან ამოგწერთ და კრასნოიარსკში ჩაგწერთო. ესეც მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული და არც ამაზე დავთანხმდი. აქედანაც რომ არაფერი გამოვიდა, ორმაგი მოქალაქეობა შემომთავაზეს. მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს. ასე რომ, ჩემი ბედი ჯერ კიდევ ჰაერშია.

**— უკვე გადაწყვიტე გახდე რუსეთის მოქალაქე?**

— ვფიქრობ. თითქოს გული არ მიმდის იქით, რაღაც მბოჭავს. ვნახოთ, თუ საქართველოს ნაკრებში არ დამიძახეს, იქნებ დავთანხმდე კიდევ რუსების შემოთავაზებას. არადა, ვისთვის უნდა მოვიკლა თავი, რუსებისთვის? თავში იმდენი აზრი მიტრიალებს, უკვე მე თვითონ დავიბენი.

**— დავუშვათ და გახდი რუსეთის მოქალაქე. უხერხულობას ხომ არ იგრძნობ, რუსეთის სახელით ჩვენს ნაკრებს რომ დაუპირისპირდები?**

— სიტყვა მომცეს, ქართველებთან არ დაგაყენებთო, საერთოდ, საქართველოში არ ჩაგიყვანთო. მე კი ვუთხარი, წამოგყვებით, მეგობრებს მაინც ვნახავ, ოჯახსაც მოვინახულებ-მეთქი.

**— საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს, ბიძინა გეგიძეს ან ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელს თუ ელაპარაკე?**

— სორელთან არ მისაუბრია. ბიძინა გეგიძე კი ვნახე, მაგრამ ამ თემაზე არც მასთან მისაუბრია.

**— შენი აზრით, რატომ არ გიწვევენ ნაკრებში? ფორმაში არ ხარო, კაცი ვერ იტყვის. იქნებ სხვა მიზეზია...**

— ალბათ, ასეა. სამი წლის წინ კარდიფში ვიყავი სანაკრებო შეკრებაზე. მაშინ მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე იყო, კლოდ სორელი კი — კონსულტანტი, მაგრამ სორელიც აქტიურად ერეოდა სამწვრთნელო პროცესში. ერთი ამხანაგური მატჩი წავაგეთ. თამაშის შემდეგ მე, გია რაფავამ და დავით ვართანიანმა სამართლიანი წყენით ვიკითხეთ, ვერ გაგვიგია, ვის დავუჯეროთ-თქო. გურამ მოდებაძე ერთს გვეუბნებოდა, კლოდ სორელი — მეორეს. ბიძინა გეგიძეც იქ იყო. ბოლოს მაინც ვერ მივიღეთ პასუხი. ნაწყენებმა კარდიფი დავტოვეთ და სამივე ლონდონში გავემგზავრეთ მანქანით. იქ გია რაფავას მეუღლე დაგვხვდა. რაფავების ოჯახს ლონდონის ცენტრში ქართული რესტორანი აქვს და საღამოც იქ გავატარეთ. სხვათა შორის, შეგვეძლო ადგილზევე დარვჩენილიყავით და ბრიტანეთში გაგვეგრძელებინა კარიერა, მაგრამ ბიჭებთან არ ვიქნებოდით პირნათელნი. კარდიფში დავბრუნდით და იქიდან საქართველოში გადმოვფრინდით. მერე, როგორც გავიგე, დისციპლინის დარღვევაში დაგვდეს ბრალი. ალბათ, ეს მიზეზია იმისა, რომ ჩემთვის ნაკრების კარი დაიხურა.

**— ვთქვათ, დაგიძახეს საქართველოს ნაკრებში, იმავდროულად, რუსეთის ნაკრებშიც მიგიწვიეს. შენ რომელს აირჩევ?**

— უყოყმანოდ ჩამოვალ და საქართველოსთვის ვითამაშებ. აქ ორი აზრი არ არსებობს.

**— საქართველო — სამხრეთ აფრიკის მატჩის შემდეგ კლოდ სორელმა თქვა, რომ რუსეთში მოთამაშე რამდენიმე ქართველი ნაკრებში მიიწვია, მაგრამ უარი მიიღო...**

— პირადად ჩემთვის არ მოუმართავს. პირველად მესმის. არ გამოვრიცხავ, ასე ყოფილიყო და კლუბს დაემალა ჩემთვის.

**— საფრანგეთში რომ გეცადა წასვლა? იქ სორელის მხედველობის არეში იქნებოდი, იქნებ ნაკრებშიც გამოჩენილიყო შენთვის ადგილი.**

— გეხსომებათ, შარშანწინ ბათუმში საერთაშორისო ტურნირი მოეწყო. მაშინ „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი. ბათუმში კრასნოიარსკის „სიბტიაჟმაში“ იყო ჩამოსული. ერთხელ, როცა სასტუმროს ნომერში ვისვენებდი, ვიღაც კაცმა მომაკითხა. იგი კრასნოიარსკის მეორე გუნდის, „კრასნი იარის“ სელექციონერი აღმოჩნდა. გვარად ბაგდასაროვი, სახელი არ მახსოვს. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი. მერე რუსეთში წასულა ჯარში და კრასნოიარსკში დარჩენილა საცხოვრებლად. ბაგდსაროვმა „კრასნი იარში“ გადასვლა შემომთავაზა. არადა, ჩემი საბუთები რაგბის კავშირში იდო საფრანგეთში გასაგზავნად. მაგრამ ეს პროცესი რატომღაც დიდხანს გაჭიანურდა. ბაგდასაროვს მოსაფიქრებლად დრო ვთხოვე. მერე ეს ამბავი სულ ამომივარდა თავიდან. გავიდა რამდენიმე კვირა და ამ კაცმა თბილისში დამირეკა. მე კი საფრანგეთში წასვლას ველოდებოდი, თუმც ახალი ამის თაობაზე არაფერი ისმოდა. ავდექი და დავთანხმდი. ფული და ყველა საჭირო საბუთი რამდენიმე დღეში შინ გამომიგზავნეს. მერე ბობა კვინიხიძეც ჩამოიყვანეს. იმ წელსვე რუსეთის ჩემპიონები გავხდით. თბილისში ტვინის შერყევით ჩამოველი, მაგრამ „ლოკომოტივს“ დავეხმარე. აქაც ვიჩემპიონეთ და თასიც მოვიგეთ.

**— „კრასნი იარი“ წლეულსაც ჩემპიონი გახდა...**

— მთელი სეზონში მხოლოდ ხუთი მატჩი წავაგეთ. ხუთივე „სიბტიაჟმაშთან“, რომელშიც რატი ურუშაძე და მიხეილ სუჯაშვილი თამაშობენ. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იქ ძალიან დიდ პატივს მცემენ. ვიცე-კაპიტნად ამირჩიეს. ეს კი ბევრს ნიშნავს. ჩემი გამოსახულებით სპეციალური კალენდრებიც გამოუშვეს. ერთხელ მოსკოვის „ფილისთან“ გვქონდა შეხვედრა. ჩემი გუნდი მე გავიყვანე მინდორზე, „ფილი“ კი ნიკა იურინმა, იგივე „ბეირუთამ“. იურინმა მითხრა, ასეთი რამ რუსეთის რაგბის ისტორიას არ ახსოვს, ორი რუსული კლუბი ეთამაშება ერთმანეთს და ორივეს ქართველები კაპიტნობენო. კლუბში აჩის ან აჩიკოს მაგივრად არჩის მეძახიან. ასეთი მეტსახელი შემარქვეს.

**— პირობებიც კარგი გექნება.**

— მშვენიერი. ბინა პირდაპირ რუსეთის რაგბის კავშირის ოფისის წინ მიქირავეს. მანქანაც მყავს, ოღონდ მართვის მოწმობა არ მაქვს. ხელფასიც და პრემიებიც ნორმალურია. ხშირად აწყობენ შეკრებებს, ამას წინათ საფრანგეთში ვიყავით. ახლა, რაკი ჩემპიონები გავხდით, ტაილანდში ერთკვირიანი საშობაო-საახალწლო ტურისტული მოგზაურობით დაგვასაჩუქრეს. მაგრამ მე არ მივდივარ.

**— რატომ?**

— ახალ წელს ტრადიციულად ოჯახთან ერთად ვხვდები. ისე, ამასთან დაკავშირებით პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. კრებაზე რომ გვითხრეს, ტაილანდში მიდიხართ სამოგზაუროდ, მაგრამ მარტო მწვრთნელები და მორაგბეებიო, მე ავდექი და ვთქვი, ზოგს ცოლ-შვილი, ზოგსაც მეგობარი გოგო ჰყავს, მათ რა დააშავეს-მეთქი. რუსები გაფართოებული თვალებით მიყურებდნენ. კლუბის უფროსობა დამეთანხმა და ტაილანდში ბიჭები ოჯახებით წავლენ. კურიოზი კი ის არის, რომ ყველაზე მეტად ვაქტიურობდი და ერთადერთი მე არ მივდივარ — ჩემი ჭკუით, კაცმა ახალი წელი სამშობლოში და საკუთარ ოჯახში უნდა გაატაროს.

**— კრასნოიარსკში როდის ბრუნდები?**

— ნაახალწლევს. ველოდები, როდის დამირეკავენ.

**ბაჩო სვანიძე**



კრასნოიარელი არჩილ კობახიძის შეჩერებას მოსკოვის „ფილის“ სამი ქართველი, ნიკა იურინი (№9), მამუკა მარგველაშვილი (№22) და ზურაბ პაპავა ცდილობენ

# შკაცრავად, ეს საქართველოს ჩემპიონატია?!

## სინათლე, გათბობა, თასი, ქალთა ჩემპიონატი...
## ახალი ფედერაცია ახალ ცხოვრებას აპირებს



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი (მარცხნიდან მეორე) და მისი გუნდი: ვიცე-პრეზიდენტები მამუკა კაციტაძე (მარცხნივ), დუდუ დადიანი და გენერალური მდივანი პაატა გურასპაული

*ახალი ცოცხი კარგად გვისო...*

*ამ თითქოსდა გაცვეთილ ჭეშმარიტებას სულაც არ გასვლია ყავლი. ერთი თვის წინ გაპრეზიდენტებულმა ბესიკ ლიპარტელიანმა მიუხედავი ქართული კალათბურთის რემონტი ეროვნული ჩემპიონატის ნორმალურად გამართვისთვის აუცილებელი პირობების შექმნით დაიწყო. ამიერიდან ვერის ბაღის დარბაზში მისულთ აღარ მოგვიწევს ხელების ფშვნეტა და სიცივისგან სკამზე წრიალი. მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზს ნანატრი გათბობა და სინათლე ეწვია. ჯერ მხოლოდ ესაა, რისი გაკეთებაც ამ ერთ თვეში მოესწრო. ამის გარდა ბესიკ ლიპარტელიანმა სხვა სიახლეებიც გვაუწყა და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა.*

— ფედერაციის სტრუქტურა თითქმის ჩამოყალიბებულია, მაგრამ არ არის გამორიცხული ახალი სამუშაო ჯგუფების შექმნა, ეს სამომავლო საქმეა. ამ ეტაპზე სიახლე ის გახლავთ, რომ შეიქმნა ქალთა კალათბურთის კომიტეტი და დიდი ხნის შესვენების შემდეგ სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც მიეცემათ ჩემპიონატის ჩატარების საშუალება.

**— წინასაარჩევნო კამპანიის დროს არაერთხელ განაცხადეთ, რომ ფედერაციისთვის საჭირო სახსრებს თავად ფედერაცია მოიძიებდა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სპორტის დეპარტამენტს კალათბურთის დაფინანსების ტვირთი მოეხსნება?**

— ჩვენს საქმიანობას სპორტის დეპარტამენტიდან გამოყოფილი თანხა, ცხადია, ვერ გასწვდება, მაგრამ რასაც გაიღებენ, იმით ფედერაციის სახელფასო ფონდის ნაწილის დაფარვას ვაპირებთ. ახლა მთელი აქცენტი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეა გადატანილი და დეპარტამენტი ძირითადად მასში მონაწილეებს აფინანსებს. ახალი წლიდან კი კალათბურთისთვისაც გაიღებენ რამეს.

**— თქვენი უპირველესი საზრუნავი ამ ეტაპზე, ცხადია, ეროვნული ჩემპიონატი და მისი ნორმალურად ჩატარებაა...**

— ეს ბუნებრივია და საამისოდ საკმაოდაც წავიმუშავეთ. ეს-ესაა დასრულდა ვერის ბაღის დარბაზის გათბობის კომუნიკაციის რეკონსტრუქცია და იგი ორიოდ დღეში ამოქმედდება. სინათლის პრობლემაც აღარ იქნება, ხოლო რაც შეეხება იჯარას, მას ახალ წლამდე დავფარავთ, რის შემდეგაც საშუალება მოგვეცემა, ჩემპიონატის მეორე წრე ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ.

**— როდისთვის განახლდება ჩემპიონატი და რაიმე სიახლე ხომ არ იქნება?**

— გადავწყვიტეთ, ჩემპიონატის სანახაობრივი მხარე ავამაღლოთ. მატჩების წინ უფრო ეფექტური იქნება მოთამაშეთა გამოცხადება, იქნება მუსიკაც და სხვადასხვანაირი გართობაც. ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. დარბაზში მოსულ გულშემატკივარს მოსაწყენად არ უნდა ეცალოს. თამაშებს შოუს სახე უნდა მივცეთ, როგორც ეს საზღვარგარეთ ხდება. მეორე წრეს კი იანვრის ბოლოს, ოცში ან ოცდახუთში დავიწყებთ.

საშეჯიბრო კომიტეტმა უკვე დაიწყო თასის გათამაშების სისტემაზე მუშაობა, თუ ეს ახლა ვერ მოესწრო, ჩვენი კლუბები საქართველოს თასისთვის მომავალი სეზონიდან ითამაშებენ.

**— მართალია, ჩვენს ნაკრებს ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრები 2003 წლამდე არ უწევს, მაგრამ ამაზე ზრუნვა აქედანვეა საჭირო...**

— მალე შეიქმნება კომიტეტი, რომელიც ნაკრების საკითხებზე იმუშავებს და მისი თავმჯდომარე თავად ნაკრების მწვრთნელი იქნება, რომელსაც მხოლოდ ვარჯიში და კალათბურთელების მომზადება როდი დაევალება. მან უნდა უხელმძღვანელოს იმ სტრუქტურას, რომელიც ჩვენი ნაკრების გარშემო შეიქმნება. საამისოდ იანვრიდან დავიწყებთ მუშაობას, იმ პიროვნების ძებნასაც, რომელიც ნაკრებს ჩაიბარებს. ზაფხულში თბილისში გაიმართება ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრების გარდა სხვა ძლიერი გუნდებიც ითამაშებენ. სავარაუდოდ, შემოდგომაზეც მოეწყობა ანალოგიური ტურნირი, რომლის შემდეგაც ნაკრების მწვრთნელს მუდმივი კავშირი ექნება ჩვენს ლეგიონერებთან. ჯერ ვერ გეტყვით, ვინ იქნება ნაკრების თავკაცი, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ღირსეული მწვრთნელი შევარჩიოთ და მასთან ერთად მოვახერხოთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე უკეთ თამაში.

**ირაკლი ბერტაია**

## ესპანეთი

XII ტური

კასერესი — ფორუმი 77:73, კანტაბრია — ესტუდიანტესი 85:97, ტაუ — ხირონა 98:74, რეალი — უნიკახა 62:60, ლეიდა — ხუვენტუდი გადაიდო, კანარიასი — გრანადა 90:76, ფუენლაბრადა — პამესა 68:74, ბარსელონა — ლეჩე 72:67, ხიხონი — კახა სან ფერნანდო 74:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 12 | 10 | 2 | 967:824 | 22 |
| რეალი | 12 | 10 | 2 | 970:899 | 22 |
| ბარსელონა | 12 | 10 | 2 | 1054:964 | 22 |
| ტაუ | 12 | 9 | 3 | 973:816 | 21 |
| ფუენლაბრადა | 12 | 7 | 5 | 963:948 | 19 |
| პამესა | 12 | 7 | 5 | 933:925 | 19 |
| ფორუმი | 12 | 6 | 6 | 920:918 | 18 |
| სან ფერნანდო | 12 | 6 | 6 | 919:926 | 18 |
| ლეჩე | 12 | 6 | 6 | 919:961 | 18 |
| ხუვენტუდი | 11 | 6 | 5 | 945:925 | 17 |
| ესტუდიანტესი | 12 | 5 | 7 | 951:937 | 17 |
| კანარიასი | 12 | 5 | 7 | 899:895 | 17 |
| ლეიდა | 11 | 5 | 6 | 858:916 | 16 |
| გრანადა | 12 | 4 | 8 | 889:1026 | 16 |
| ხირონა | 12 | 4 | 8 | 989:1027 | 16 |
| კასერესი | 12 | 4 | 8 | 992:1118 | 16 |
| კანტაბრია | 12 | 2 | 10 | 918:1040 | 14 |
| ხიხონი | 12 | 1 | 11 | 944:1014 | 13 |

## იტალია

XIV ტური

სკიპერი — სიენა 91:71, ბენეტონი — ლივორნო 104:86, რომა — აველინო 79:75, სნაიდერო — კინდერი 67:92, მიულერი — ტრიესტი 80:72, ვიოლა — სკავოლინი 86:75, ბიელა — იმოლა 83:69, ფაბრიანო — კანტუ 85:92, ადეკო — როზეტო 87:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 13 | 12 | 1 | 1229:1012 | 25 |
| კანტუ | 14 | 11 | 3 | 1132:1082 | 25 |
| კინდერი | 13 | 11 | 2 | 1129:944 | 24 |
| სკიპერი | 13 | 11 | 2 | 1107:989 | 24 |
| სიენა | 13 | 9 | 4 | 1087:998 | 22 |
| სკავოლინი | 13 | 8 | 5 | 1082:1039 | 21 |
| ტრიესტი | 13 | 8 | 5 | 1027:1035 | 21 |
| ფაბრიანო | 14 | 7 | 7 | 1144:1176 | 21 |
| ბიელა | 14 | 6 | 8 | 1142:1218 | 20 |
| მიულერი | 13 | 6 | 7 | 1047:1045 | 19 |
| სნაიდერო | 14 | 5 | 9 | 1177:1195 | 19 |
| რომა | 13 | 5 | 8 | 1016:1016 | 18 |
| აველინო | 13 | 5 | 8 | 1064:1100 | 18 |
| როზეტო | 13 | 5 | 8 | 1083:1169 | 18 |
| იმოლა | 14 | 4 | 10 | 1064:1133 | 18 |
| ვარეზე | 13 | 4 | 9 | 1115:1134 | 17 |
| ადეკო | 13 | 4 | 9 | 1019:1094 | 17 |
| ლივორნო | 13 | 4 | 9 | 1035:1026 | 17 |
| ვიოლა | 13 | 1 | 12 | 978:1195 | 14 |

## თურქეთი

VII ტური

დარუშაფაკა — ქარშიაკა 74:68, ფენერბაჰჩე — ეფესი 70:79, ოიაქი — ბუიუქ კოლეჟი 80:54, თედ კოლეჟი — ტელეკომი 73:86, ითუ — გალათასარაი 85:98

**ულქერი 103:80 ბეშიქთაში**

ულქერი: ლოლისი (5), აჩიკი (17), ერდენაი (23), ილდირიმი (14), გოლიოვიჩი (9), გონლუმი (6), გიულერი (2), ფაჩულია, აბი
ბეშიქთაში: იუსელი (21), ერსოზი (13), გორური (10), თინაი (10), ბეშოქი (10), კოჩი (8), შოლაკი (8), ბაშარანი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 7 | 6 | 1 | 624:545 | 13 |
| ეფესი | 7 | 6 | 1 | 602:504 | 13 |
| დარუშაფაკა | 7 | 6 | 1 | 559:495 | 13 |
| ქარშიაქა | 7 | 5 | 2 | 577:555 | 12 |
| ტელეკომი | 7 | 4 | 3 | 577:554 | 11 |
| ოიაქი | 7 | 3 | 4 | 550:527 | 10 |
| ბეშიქთაში | 7 | 3 | 4 | 520:521 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 3 | 4 | 578:559 | 10 |
| ითუ | 7 | 2 | 5 | 516:570 | 9 |
| გალათასარაი | 7 | 2 | 5 | 530:607 | 9 |
| თედ კოლეჟი | 7 | 1 | 6 | 531:657 | 8 |
| ბუიუქ კოლეჟი | 7 | 1 | 6 | 472:547 | 8 |

## საფრანგეთი

X ტური

ნანსი — პო ორტეზი 72:86, მონპელიე — ლე მანი 78:69, გრაველინი — შალონი 87:80, ლიმოჟი — ტულონი 95:89, ბურგი — ანტიბი 76:67, დიჟონი — რასინგი 82:69, ვილერბანი — ლე ავრი 92:77, სტრასბური — შოლე 95:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 10 | 9 | 1 | 836:745 | 19 |
| ვილერბანი | 10 | 8 | 2 | 858:749 | 18 |
| გრაველინი | 10 | 8 | 2 | 873:831 | 18 |
| ნანსი | 10 | 7 | 3 | 864:809 | 17 |
| შალონი | 10 | 7 | 3 | 730:680 | 17 |
| დიჟონი | 10 | 6 | 4 | 795:758 | 16 |
| ლე მანი | 10 | 5 | 5 | 843:824 | 15 |
| სტრასბური | 10 | 5 | 5 | 819:816 | 15 |
| შოლე | 10 | 5 | 5 | 816:814 | 15 |
| ლიმოჟი | 10 | 5 | 5 | 880:835 | 15 |
| რასინგი | 10 | 4 | 6 | 776:767 | 14 |
| მონპელიე | 10 | 4 | 6 | 763:792 | 14 |
| ანტიბი | 10 | 3 | 7 | 737:795 | 13 |
| ტულონი | 10 | 2 | 8 | 799:881 | 12 |
| ბურგი | 10 | 1 | 9 | 725:828 | 11 |
| ლე ავრი | 10 | 1 | 9 | 710:820 | 11 |

## რუსეთი

XI ტური

უნიკსი — სამარა 131:63, ცსკა — ავტოდორი 108:79, შახტიორი — არსენალი 97:82, ურალ გრეიტი — სპარტაკი 89:66, ლოკომოტივი — ხიმკი 103:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ურალ გრეიტი | 11 | 10 | 1 | 1077:893 | 21 |
| ლოკომოტივი | 11 | 9 | 2 | 1073:921 | 20 |
| უნიკსი | 11 | 9 | 2 | 1039:831 | 20 |
| ცსკა | 11 | 8 | 3 | 1069:929 | 19 |
| ავტოდორი | 11 | 6 | 5 | 1043:1067 | 17 |
| ხიმკი | 11 | 4 | 7 | 908:1001 | 15 |
| შახტიორი | 11 | 4 | 7 | 989:1026 | 15 |
| სპარტაკი | 11 | 2 | 8 | 823:963 | 14 |
| არსენალი | 11 | 1 | 10 | 846:1035 | 12 |
| სამარა | 11 | 1 | 10 | 878:1079 | 12 |

## საბერძნეთი

XI ტური

აეკ — იონიკოსი 121:77, დაფნი — ირაკლიონი 73:78, არისი — ირაკლისი 67:72, პანიონიოსი — ნიარ ისტი 61:58, ოლიმპიაკოსი — მარუსი 73:62, პერისტერი — პაოკ 89:79, დრამა — პანათინაიკოსი 78:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 11 | 10 | 1 | 985:809 | 21 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 10 | 1 | 991:796 | 21 |
| ირაკლისი | 11 | 9 | 2 | 824:752 | 20 |
| პანათინაიკოსი | 11 | 9 | 2 | 920:846 | 20 |
| პანიონიოსი | 11 | 7 | 4 | 868:825 | 18 |
| ირაკლიონი | 11 | 5 | 6 | 925:934 | 16 |
| პერისტერი | 11 | 5 | 6 | 853:842 | 16 |
| პაოკ | 11 | 5 | 6 | 908:903 | 16 |
| მარუსი | 11 | 5 | 6 | 882:853 | 16 |
| დრამა | 11 | 3 | 8 | 838:1006 | 14 |
| იონიკოსი | 11 | 3 | 8 | 828:966 | 14 |
| არისი | 11 | 2 | 9 | 833:929 | 13 |
| ნიარ ისტი | 11 | 2 | 9 | 795:883 | 13 |
| დაფნი | 11 | 2 | 9 | 823:929 | 13 |

ხელბურთი

# იუგოსლაველებს ლისაბონში ყივჩაღები შემოყარნენ

## ხალხს თვალწინ ცოლებს უცემდნენ და, რატომ გამოესარჩლეთო

**ვაჟთა** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ პრაქტიკულად ცნობილი იყო ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა. მომდევნო ეტაპზე გასვლის უმცირეს შანსს ინარჩუნებდა ჩეხეთის „კარვინა“, მაგრამ სენსაცია არ მოხდა და ვადამდე გზაგაკვლეულ შვიდეულს ესპანეთის ჩემპიონი „კახა ადემარი“ შეუერთდა.

ბოლო დღემდე უდანაკარგოდ მოასპარეზე სლოვენიის „პივოვარნამ“ და უნგრეთის „ფოტექსმა“ პირველი მარცხი იგემეს, თუმცა ამას მათ სალიდერო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია. სლოვენიელი მელუდეები ლეონში „ადემართა“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა ბოლო წუთზე მანუელ ენტერიოსის ზუსტი ტყორცნით შეძლეს ერთ-ერთი ფავორიტის ძლევა. „ფოტექსს“ ევროპის საკლუბო ჩემპიონი „მაგდებურგი“ მოერია. მასპინძლებში რვა გოლით ყველაზე შედეგიანი იყო მათი იუგოსლაველი ლეგიონერი ნენად პერუნიჩიჩი, რომელიც ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა და ცხრა ბურთით ჩამორჩება მაკედონიის „ვარდარის“ მეგოლე პეპი მანასკოვს (53). მეორეა მარტინ ბოქვისტი (45) — შვედური „რედბერგსლიდსის“ საუკეთესო მოთამაშე.

მიმდინარე გათამაშებისთვის სარეკორდო — ოცბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა ლიგის ამჟამინდელმა ჩემპიონმა „პორტლენდ სან ანტონიომ“. პამპლონელთა თავდასხმა 16 გუნდში ყველაზე შედეგიანია — ყოველ მატჩში საშუალოდ 31 გოლი ცოტა როდია. ყველაზე საიმედოა „ფოტექსის“ დაცვა.

ოციოდე დღის წინ, მეოთხე ტურში, „სპორტინგ“ — „ლოვჩენის“ შეხვედრა მეხუთე წუთზე შეწყდა ლისაბონის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ამტყდარი ჩხუბის გამო. იქაურმა გულშემატკივრებმა სტუმართა დელეგაციის წევრებს, მათ შორის ხელბურთელთა მეუღლეებს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. „ლოვჩენის“ მოთამაშეები ტრიბუნაზე აცვივდნენ და ჩხუბში ჩაებნენ. ევროპის ხელბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ იუგოსლავიის ჩემპიონს მატჩის ჩაშლისთვის ტექნიკური წაგება (0:10) ჩაუთვალა. სტუმართა კლუბი 80 000 ფრანკით, ხოლო ოთხი მოთამაშე — ბლაჟო პოპოვიჩი, გორან ჯუკანოვიჩი, ნიკოლა ვუიოვიჩი და ალენ მურატოვიჩი — ოც-ოცი ათასით დაჯარიმდა.

გარდა ამისა, ოთხივეს ერთი წლით აეკრძალა ევროთასების თამაშებში მონაწილეობა.

ჯგუფურ ტურნირში ორ-ორი საუკეთესო გუნდი თებერვლის მიწურულს მეოთხედფინალიდან პლეი ოფის წესით გააგრძელებს. ბრძოლას მანამდე კი, იანვრის ბოლოს, შვედეთში ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება.

**გია ახალაძე**

### ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა

ჯგუფური ეტაპი. საბოლოო ვითარება

A ჯგუფი: პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — ლოვჩენი (იუგოსლავია) 39:19; კოლდინგი (დანია) — სპორტინგი (პორტუგალია) 33:22

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოლდინგი | 4 | 1 | 1 | 159:141 | 9 |
| პორტლენდი | 4 | 1 | 1 | 188:152 | 9 |
| სპორტინგი | 2 | 0 | 4 | 132:149 | 4 |
| ლოვჩენი | 1 | 0 | 5 | 110:147 | 2 |

B ჯგუფი: ჟამბო (ხორვატია) — სანდფიორდი (ნორვეგია) 35:23; რედბერგსლიდსი (შვედეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 35:30

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟამბო | 5 | 0 | 1 | 166:138 | 10 |
| რედბერგსლიდსი | 5 | 0 | 1 | 167:151 | 10 |
| სანდფიორდი | 2 | 0 | 4 | 161:164 | 4 |
| ჰაპოელი | 0 | 0 | 6 | 151:192 | 0 |

C ჯგუფი: ადემარი (ესპანეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 31:30; ცსკა (რუსეთი) — კარვინა (ჩეხეთი) 32:31

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 5 | 0 | 1 | 176:160 | 10 |
| ადემარი | 4 | 0 | 2 | 177:159 | 8 |
| კარვინა | 2 | 0 | 4 | 170:178 | 4 |
| ცსკა | 1 | 0 | 5 | 155:181 | 2 |

D ჯგუფი: მაგდებურგი (გერმანია) — ფოტექსი (უნგრეთი) 25:22; ვარდარი (მაკედონია) — შამბერი (საფრანგეთი) 32:30

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 5 | 0 | 1 | 157:130 | 10 |
| მაგდებურგი | 3 | 2 | 1 | 162:141 | 8 |
| შამბერი | 1 | 1 | 4 | 149:174 | 3 |
| ვარდარი | 1 | 1 | 4 | 152:175 | 3 |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი


REUTERS ფილადელფიიდან

ალენ აივერსონი (ბურთით) არავის ეპუება

# ამხმლა კაცები ხართ და...

17 დეკემბერი

**ფილადელფია 99:83 ბოსტონი**

**ფილადელფია: აივერსონი (37), მუტომბო (17 ქულა, 14 მოხსნა), მაკკი (17)**
**ბოსტონი: პირსი (24), უოლკერი (15), პოტაპენკო (14)**

ვიცე-ჩემპიონმა „ფილადელფია სიქსერზმა" ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ მეორედ მოიგო.

შეხვედრა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო და მეორე ნახევრის დასაწყისში სხვაობამ 22 ქულას მიაღწია. „ბოსტონი" არ ნებდებოდა, პოლ პირსმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო, მისმა მეწყვილემ ანტუან უოლკერმა კი ზედიზედ ექვსი ქულა მიითვალა და „სელტიქსმა" მესამე მეოთხედის შუაწელს ჩამორჩენა ცხრა ქულამდე შეამცირა. ვინ იცის, აფეთქებული „ბოსტონი" როდემდე გააგრძელებდა მასპინძელთა კალათის რბევას, „სიქსერზის" სათადარიგო აარონ მაკკის ხელი რომ არ გამოელო. მან ზედიზედ ოთხი ბურთი ჩააგდო და კვლავ გაზარდა დისტანცია სტუმარ-მასპინძელს შორის, რამაც ალენ აივერსონი ალაფრთოვანა და მანაც ნიშნი მოუგო მეტოქეებს... გამოსაჯავრებლად ენა გამოუყო.

„პირსი და უოლკერი ლიგის ყველაზე ყიამყრალი მოთამაშეები არიან, მთელი მატჩის განმავლობაში ენას არ აჩერებენ. ახლაც, ორი ბურთი ჩააგდეს, პირები მოაღეს და გრძელი ენები გადმოაგდეს. აარონის ჩაგდებულების შემდეგ კი მოკეტეს" — თქვა ნამატჩევს აივერსონმა. ისე, საინტერესოა, ზემოხსენებულ ორ ბოსტონელს უფრო გრძელი ენები აქვთ თუ აივერსონს?

მაკკის გამოცოცხლების შემდეგ „სიქსერზს" გამარჯვება აღარ გასჭირვებია.

# ვარსკვლავები მიწაზე სევდიანად დადიან

## თავად გასაშვებმა უფროსობამ, რა თქმა უნდა, მწვრთნელი გაუშვა

**ბევრი** ითმინეს თუ ცოტა „გოლდენ სტეიტ ვორიორზის" მამებმა, გუნდის მწვრთნელი დეივ კოუენსი თავისას დაიბარეს და ხანმოკლე თავაზიანი საუბრის შემდეგ კარისკენ მიუთითეს. უიღბლო კოუენსმა კვლავ დაკარგა სამუშაო, სამაგიეროდ, იშოვა მისმა აწ უკვე ყოფილმა ასისტენტმა ბრაიან ვინტერსმა, რომელიც 1995-97 წლებში „ვანკუვერ გრიზლიზს" წვრთნიდა და, სხვათა შორის, არცთუ ხეირიანად.

ვერა და ვერ აეწყო 70-იანი წლების დიდი მოთამაშის სამწვრთნელო კარიერა. „მეომრები" კოუენსს წინა სეზონის დაწყების წინ ჩააბარეს, მანაც ცდა არ დააკლო, მაგრამ ამ ჯაგლაგ და ტრავმებით გაწამებული ვაიმოთამაშეებით სავსე გუნდს წინა სეზონში 82 თამაშიდან მხოლოდ 17 გამარჯვება გამოსწურა. ამ შედეგმა „ვორიორზს" დასავლეთში ბოლო, მეთოთხმეტე, ხოლო 29-გუნდა ნბა-ში 28-ე ადგილი არგუნა და კლუბის მამებმაც კბილები აალრჭიალეს. „მეომრებმა" მიმდინარე სეზონი უკეთ დაიწყეს, პირველ 14 შეხვედრიდან ზუსტად ნახევარი მოიგეს, მაგრამ ამას 9 მატჩში 8 მარცხი მოჰყვა და მწვრთნელმაც სამუშაო დაკარგა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა კოუენსი კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადამდე ადრე წყვეტს კლუბთან ურთიერთობას. 1999 წელს იგი „შარლოტის" მთავარი მწვრთნელის სკამიდან საკუთარი ნებით ადგა და ის ასისტენტ პოლ საილასს დაუთმო, რომელიც დღემდე მორჭმით ზის იქ. „შარლოტთან" მუშაობა კოუენსმა მცირე ხელფასის გამო გაწყვიტა, კიდევ იმიტომ, რომ ტრავმებმა გუნდი დაასუსტა. არადა, წინა ორ სეზონში მან გუნდს ორჯერვე 50 მატჩზე მეტი მოაგებინა. კლუბის რეკორდიც, სეზონში 58 გამარჯვება, „კრაზანებმა" მისი მეთაურობისას დაამყარეს.

მწვრთნელობა არ გამოუვიდა, მაგრამ ლეგენდის სახელს ვერავინ წაართმევს დეივ კოუენსს. ის ათი წელი თამაშობდა „ბოსტონ სელტიქსში" და ორჯერ, 1974 და 76 წლებში, გაჩემპიონებაში დაეხმარა. თავად 1972-73 წლების უძვირფასესი მოთამაშე და 1990 წლიდან კალათბურთის დიდების დარბაზის წევრია.

ისე კი, კოუენსის გამგდებ „ვორიორზის" ხელმძღვანელობას დაფიქრება და საკადრო პოლიტიკის გადახედვა მართებს. ახალი მწვრთნელი ბრაიან ვინტერსი მეშვიდეა ბოლო ექვს წელიწადში და მეათე — „ვორიორზის" 55-წლიან ისტორიაში. მწვრთნელთა და მოთამაშეთა ხშირმა ცვლამ კლუბის ხანგრძლივი ჩავარდნა გამოიწვია. „მეომრები", რომელთაც მეომრებისა არაფერი ეტყობათ, 1994 წელს აქეთ პლეი ოფში არ ყოფილან.

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი
**რიჩარდ ჰამილტონი**
**• ვაშინგტონი •**



### დასავლეთი
**სტივ ნეში**
**• დალასი •**



**ორშაბათს** ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა. აღმოსავლეთში ეს ტიტული არავის დაუთმო „ვაშინგტონ ვიზარდსის" მსროლელმა რიჩარდ ჰამილტონმა, ხოლო დასავლეთში — „დალასის" გამთამაშებელმა სტივ ნეშმა.

„ვაშინგტონ ვიზარდსს" ჰყავს მაიკლ ჯორდანი და ყველა წესის და რიგის მიხედვით ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი თავისი გუნდის ლიდერიც უნდა იყოს, მაგრამ თუ სამართალია, სხვასაც უნდა ერგოს სახელი და დიდება. მით უმეტეს, რომ დედაქალაქელთა ბოლოდროინდელ წარმატებებში ჯორდანზე მეტი წვლილი რიჩარდ ჰამილტონს მიუძღვის.

„ვაშინგტონმა" მოიგო ბოლო ექვსი მატჩი, ამათგან ოთხი — გასულ კვირაში, რაშიც ჰამილტონმა საშუალოდ 28,5 ქულით, 4,3 მოხსნითა და 4,3 პასით დაიდო წილი. ჯორდანს გაცილებით მოკრძალებული მაჩვენებლები ჰქონდა, ასე რომ, აღმოსავლეთში ჰამილტონის პირველობა სამართლიანია.

რაც შეეხება ნბა-ს მისისიპის გადაღმა ნახევარს, როგორც მოგახსენეთ, იქ სტივ ნეში გამოირჩა. გასულ კვირას მისმა „დალასმა" ოთხიდან სამი მეტოქე დაამარცხა, ხოლო ნეშმა ამ ოთხ მატჩში საშუალოდ 26,5 ქულა, 7,3 პასი და 3,3 მოხსნა მოიხვეჭა. მან განსაკუთრებით „პორტლენდთან" შეხვედრაში ისახელა თავი. „დალასმა" ის თამაში 105:103 მოიგო, ნეშმა კი კარიერაში ყველაზე მეტი, 39 ქულა მიითვალა, აქედან 17 — ბოლო ექვს წუთში (!).



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პროფესია: მაიმუნი

## ეჭვი არ შეგეპაროთ, ამ ორმეტრიან ზანგს მალე თავ-ყბას გაუნგრევენ

**რეინჯერსი 4:2 ფლორიდა (0:2 2:0 2:0)**
**0:1 უორდი (4), 0:2 შვიდკი (6), 1:2 იუჰანსონი (26), 2:2 ნედვედი (29), 3:2 მესიე (54), 4:2 ნედვედი (56)**

ზედიზედ ორი სენსაციური მოგების შემდეგ, როდესაც ფლორიდელებმა ნიუ ჯერსის და აილენდერსს სტუმრად სძლიეს, მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მეგაპოლისში ჩატარებულ მესამე მატჩითაც შეძლებდნენ თავიანთი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებას. თავიდან დიდებულადაც წაუვიდათ საქმე. მე-6 წუთისთვის 2:0 იგებდნენ და მეტოქეც დაბნეული ჩანდა. აი, აქ კი საქმეში ჩაერია შავკანიანი მოთამაშე, პიტერ უორელი (მეტსახელად „მაიმუნი"). ეტყობა, ორმეტრიან აყლაყუდას დიქტატორად და რკინის კაცად წოდებულმა მწვრთნელმა მაიკ კინენმა მეტოქეთა ლიდერების ძალისმიერი ილეთებით შეშინება დაავალა. ჰოდა, ისიც დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს. მე-8 წუთზე პიტერმა ბორტთან მასზე ლამის 30 სანტიმეტრით დაბალი ტეო ფლერი მიიმწყვდია და არცთუ სუფთა ილეთით ბორტს მიანარცხა. ცხადია, ფლერის პარტნიორებმა უმალ სცადეს, უორელისთვის ჭკუა ესწავლებინათ. ტეოს დასახმარებლად რეინჯერსის მთავარი პოლიციელი სენდი მაკარტი გაქანდა და ყინულზე მუშტიკრივიც გაჩაღდა. ამით უორელმა მხოლოდ ორწუთიანი ჯარიმა მიიღო, ხოლო ფლერიმ და მაკარტიმ ჯამში 37 წუთი დაიმსახურეს. ასე რომ, პიტერმა ფაქტობრივად მიაღწია თავისას — მეტოქის ერთ-ერთი ლიდერი ლამის მწყობრიდან გამოიყვანა და გუნდიც გაანერვიულა, მაგრამ შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა. გაცხარებული ნიუიორკელები უკეთ ათამაშდნენ და ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი უბერებელმა, 41 წლის მარკ მესიემ თავისიანები დააწინაურა. აქვე ვთქვათ, რომ წინა, ბუფალოსთან შეხვედრაში მესიემ უმნიშვნელოვანეს 1800-ქულიან ზღვარს უწია, რაც მანამდე მხოლოდ ორმა დიადმა, უეინ გრეცკიმ (2857) და გორდი ჰოუმ (1850) შეძლეს.

ამრიგად, რეინჯერსი დაწინაურდა და კინენმა კვლავ უორელი წააქეზა. „მაიმუნიც" რეინჯერსის ახალშემატებულ მეტიუ ბარნაბის ეძგერა და კიდევ ერთი გაწევ-გამოწევა ატყდა, მაგრამ საქმეს ველარაფერი ეშველა: რეინჯერსელმა პეტერ ნედვედმა დუბლიც გაახერხა და გუნდის მოგებაც.

„ვიდეოფირზე აშკარად ჩანს, რომ ჩემი დაშავება სურდა, კიდევ კარგი, გადავრჩი. არა უშავს, უორელს კიდევ არაერთხელ მივუზღავთ საკადრისს" — დაემუქრა ყოველთვის ენაწყლიანი ფლერი თავის მეტოქეს.

**დეტროიტი 0:2 ჩიკაგო (0:1 0:0 0:1)**
**0:1 ჟამნოვი (3), 0:2 ბელი (42)**

დეტროიტს რაღაც ძალიან გაუხანგრძლივდა კრიზისი: დეკემბერში ერთი მოგება და ხუთი წაგება, თანაც ბოლო ორ მატჩში ჩემპიონატის ლიდერმა ერთი გოლიც ვერ გაახერხა.

**დალასი 1:4 სან ხოსე (0:2 1:0 0:2)**
**0:1 რიჩი (5), 0:2 სელიანე (10), 1:2 ლანგენბრუნერი (27), 1:3 სელიანე (44), 1:4 მარო (45)**

დივიზიონში მთავარ კონკურენტთან მოგების შემდეგ სან ხოსემ წაუგებელი სერია 9 მატჩამდე გაზარდა.

**მონრეალი 3:4 ტამპა (2:1 1:2 0:1)**
**1:0 პეტროვი (8), 2:0 გილმორი (9), 2:1 ლეკავალიე (18), 2:2 სენტ ლუისი (29), 2:3 კლაიმერი (30), 3:3 სავაჟი (32), 3:4 სენტ ლუისი (41)**

**ფინიქსი 4:1 კოლუმბუსი (1:1 1:0 2:0)**
**0:1 ვიბორნი (12), 1:1 ნუმინენი (18), 2:1 ბერეზინი (24), 3:1 ნაგი (47), 4:1 ლენგკოუ (60)**

**სამველ ლარიბიანი**


REUTERS ნიუ იორკიდან

ფლორიდელ პიტერ უორელზე გაბრაზებული რეინჯერსელი ტეო ფლერი (№14) მსაჯებმა ძლივს დააშოშმინეს

## კვირის მოთამაშე

**ტომ ბარასო (კაროლინა)**



შარშან ტომ ბარასო ყველამ დაივიწყა. პიტსბურგმა მასზე უარი თქვა, არც კაროლინაში გადასვლას შეუცვლია ვეტერანი მეკარისთვის რამე. „ქარიშხლები" არტურს ირბეს უფრო ენდობოდნენ და ბარასოს ხანდახან თუ ჩააყენებდნენ კარში. თანაც, მძიმედ დაავადებულ მამაზე მზრუნველობა ტომს დიდ დროს ართმევდა და მას ჰოკეისთვის არ ეცალა. მაგრამ წლეულს იგი კვლავ დაუბრუნდა ყინულს და თანდათან აღიდგინა ძველებური ფორმა, დეკემბერში კი ირბეს პირველი გოლკიპერის წოდება ჩამოართვა. წინა კვირის ოთხივე მატჩში კაროლინას კარში ბარასო იდგა და „ქარიშხლებმა" სამი მოიგეს, ერთი კი ოვერტაიმში წააგეს. ბარასომ განსაკუთრებით რეინჯერსთან (4:3) გაიბრწყინა, 40 დარტყმა აიღო, კვირას კი უბერებელმა ჰოკეისტმა თავის ყოფილ კლუბზე იძია შური — 7:0 და 37-ე შათაუტი კარიერაში. თუმცა ეს შეხვედრა ბარასოსთვის ყველაზე იოლი გამოდგა: პიტსბურგმა იგი მხოლოდ 11-ჯერ შეაწუხა (სეზონის ანტირეკორდი). ბარასოსთვის ეს ტიტული კარიერაში მეხუთეა.

**საუკეთესო ექვსეული.** 10-16 დეკემბერი

*ტომ ბარასო (კაროლინა, 1); ენდი დელმორი (ნეშვილი, 1) — აარონ მილერი (ლოს ანჯელესი, 1); ალექსანდრ მოგილნი (ტორონტო, 1) — როდ ბრინდამორი (კაროლინა, 1) — ენდი კოული (კაროლინა, 1)*

# ტალღოსნობა

**ჰავაიზე სერფინგში მასტერსის ტურნირზე იქაურმა ბრუს აირონსმა გაიმარჯვა. მან ბევრი რჩეული ვარსკვლავი დაამარცხა და 30 ათასი დოლარი მიიღო.**


REUTERS ჰავაიდან


REUTERS ბანგალორიდან

# ჩემი სანტა კლაუსი ჩემი ქვეყანაა



მე შაკილ ონილმა სამობაოდ, აი, ამხელა მანქანა მაჩუქა... კიდევ დიდხანს იტრაბახებს თანატოლებში ეს სანფრანცისკოელი ბავშვი, რომელიც მთელი ცხოვრება არ დაივიწყებს თავის ვარსკვლავურ წუთებს: მისი სანტა კლაუსი ხომ თვით დიდი შაკი იყო.
ისე, ამერიკელებისთვის ყველაზე დიდი სანტა კლაუსი თავად ამერიკაა, იქ ერთმანეთის გასახარებლად ზნეც მოსდევთ და ფულიც

# დაუმიზნეთ პირდაპირ ფეხებში

ინდოეთში მართლაც აქვთ ღელვისა და დაცვის გაძლიერების საბაბი — რამდენიმე დღის წინ პარლამენტის შენობის წინ ხომ დიდი სროლა ატყდა. ამიტომაც, ვისაც ევალება, თოფი აქვს მომარჯვებული, თვით კრიკეტის ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დროსაც. ნაკრები კი ინგლისთან სათამაშოდ ემზადებოდა.

# პროფესორი, კოსმონავტი და იუსტონიანი



აი, რა უპირატესობაც 26 ბ-ს მძღოლ, რუბიკ ხაჩიკიანის აზრით პილოტის პროფესიას აქვს, იგივე უპირატესობა აქვს ლოს ანჯელესში ცხოვრებას. რა ვარსკვლავებს არ ნახავ, განსაკუთრებით NBA-სას, ლეონარდო დი კაპრიოს, ველ კილმერს, დერილ ჰანასა და ვინ იცის კიდევ ვის. თანაც, თუ „ლეიკერსს" გულშემატკივრობ, გაგიხარდება, რომ შენებმა, თან ზედიზედ ორგზის ჩემპიონებმა, „გოლდენ სტეიტს" 108:85 მოუგეს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge